გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 21
(11 478)

16 – 19 მარტი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინელთა დასახვედრად გამალებული მზადებაა

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების გარდა, რუმინელთა დასახვედრად სფფ-ს ადმინისტრაციაც ემზადება. სფფ-ს თითოეულმა თანამშრომელმა ზუსტად უნდა იცოდეს და შეასრულოს ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება. ასეთი პათოსით წარიმართა გუშინდელი სამუშაო თათბირი სფფ-ში გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას ხელმძღვანელობით. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის სამსახურებთან, პოლიციასთან, სამხედრო უწყებებთან, „შევარდენისა“ და ეროვნული სტადიონების ხელმძღვანელებთან. სფფ-ში მიღებული ფაქსის საფუძველზე ცნობილია, რომ თბილისს რუმინელთა 85-კაციანი

4



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## პირველი ექვსეული

*16 მარტი*
თსუ — შევარდენი 96:86
აზოტი — მაკაბი 106:97
*დღეს*
სტუ — შევარდენი 14.00
მაკაბი — თსუ 15.45
ბპკ — დინამო (მეორე ექვსეულის ეს მატჩი ბათუმში, 14 საათზე გაიმართება).

## ნბა



7

*მაიამი — საკრამენტო. დენ მარლი ცდილობს ფარისკენ გზა გადაუღობოს დაგ კრისტლის.*

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

3



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

*„მერანი“ — „ტორპედო“ 0–0*

## სფფ-ს ახალი ოფისის მშენებლობა მალე დაიწყება

რა უამბო მასოპუსტმა 1968 წელს ქართველ ჟურნალისტს პრაღაში იმდროინდელ სახელგანთქმულ ფეხბურთელებზე, მათ შორის მიხეილ მესხზე?



6

## გუშინ, თბილისში, პროფკავშირების დახურულ მანეჟში დაიწყო ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში

60 მეტრზე თარჯრბენში საუკეთესო შედეგი 7,8 წ. აჩვენა დავით ილარიანმა (სურათზე)



## პრესკონფერენცია

სამშაბათს, 20 მარტს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ამავე დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ჩაატარებს პრესკონფერენციას. დასაწყისი 12 საათზე.

## იფარიკავეთ... ჯოხებით!

2

## რას ელავება გულშემატკივარი პაატა სირბლაძე კობა ქორქიაშვილს?

4





ჩემპიონთა ლიგა — მიმოხილვა
მეორე ჯგუფური რაუნდი



ნატალია ქუქოვა ბათუმის მშვენიერია



*კობა წაქაძე რჩეულ მოხტუნავეებთან. მარცხნიდან — ლ. გურეშიძე, გ. კილაძე, მ. ფანჯიკიძე, ლ. ფანქველიშვილი.*

*ნ. ხეთაგაშვილის ფოტო*

## ანანდი მოჭადრაკეებს ფიზიკური წრთობის მაგალითს აძლევს

8

## „რომას“ „იუვენტუსი“ 6-ქულიან სამიზნეზე ჩამორჩება

5



## „სპორტის დედოფლის“ XX საუკუნის ლაურეატები საქართველოდან

2



## კიკ-ბოქსინგი დედოფლისწყაროში

2



## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

7

*დები უილიამსები*



• **ფიფამ** გუშინ დაადგინა, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში გაიმართება.

• **ფეხბურთი, უეფას თასი. წუხელ:** ეინდჰოვენი — კაიზერსლაუტერნი 0-1; სელტა დე ვიგო — ბარსელონა 3-2; რაიო ვალეკანო — ალავესი 2-1; ლივერპული — პორტო 2-0.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა**

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

**ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 22 დღე გვაშორებს** | **8-24 თებერვალი 2002 წ.**

# XX საუკუნის რჩეულნი

## საქართველოს 10 საუკეთესო მძლეოსანი (ქალი, ვაჟი), მწვრთნელი, მსაჯი, ფუნქციონერი

**საქართველოს მძლეოსანთა წარმატებები ყველაზე შთამბეჭდავია მოჭიდავეთა მიღწევების შემდეგ საერთაშორისო არენაზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში. რაშიაც, ცხადია, დიდია თვით სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტში მოღვაწეთა დამსახურება. სწორედ მათი რიგებიდან საქართველოს ფედერაციამ გადაწყვიტა გამოევლინა გასული საუკუნის რჩეულნი. როგორც მუშაობის პროცესში გაირკვა, ეს არცთუ ადვილი იყო. საგანგებო კომისიამ გამოწვლილვით შეისწავლა ყველას დამსახურება, საქმეში ჩაერთო აგრეთვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრა. ფედერაცია მადლობას უხდის ყველას, ვინც ამ რთულ ამოცანას თანხმობით გაართვა თავი და საბოლოოდ დადგინდა რჩეულნი.**

***სპორტსმენები***

**ქალები**

1. ნინო დუმბაძე (თბილისი)
2. ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი (თბილისი)
3. მაია აზარაშვილი (თბილისი)
4. საიდა გუნბა (გაგრა)
5. ელენე გოკიელი (თბილისი)
6. ლიუდმილა იევლევა (თბილისი)
7. ელმირა ურუსოვა (თბილისი)
8. ლამარა სესაძე-ტუღუში (თბილისი)
9. ჰერტრუდა მაიერი (თბილისი)
10. ნინო ზალდასტანიშვილი (თბილისი)

**ვაჟები**

1. ვიქტორ სანეევი (სოხუმი)
2. რობერტ შავლაყაძე (თბილისი)
3. ლევან სანაძე (თბილისი)
4. ალექსანდრე შჩერბინა (ფოთი)
5. იური დიაჩკოვი (თბილისი)
6. ანატოლი მოშიაშვილი (ქუთაისი)
7. რეზო ტრაპაიძე (თბილისი)
8. ოლეგ სტრიჟაკოვი (თბილისი)
9. ბესიკ გოცირიძე (კასპი)
10. ტარიელ ბიწაძე (სოხუმი)

***მწვრთნელები*** *(ანბანით)*

1. დავით ბეთლემიძე (თბილისი)
2. ბორის დიაჩკოვი (თბილისი)
3. ევგენი გაგუა (თბილისი)
4. ილია გიგაური (თბილისი)
5. ირაკლი გოზალიშვილი (თბილისი)
6. აკოფ კერსელიანი (სოხუმი)
7. არჩილ კონსტანტინოვი (თბილისი)
8. ოლეგ ლაკერბაი (თბილისი)
9. ბორის ტახტაროვი (თბილისი)
10. ვასილი შმაკოვი (თბილისი).

***მსაჯები*** *(ანბანით)*

1. ლილი აბულაძე (თბილისი)
2. ჰამლეტ ათაბეგოვი (თბილისი)
3. ლევან გიორგაძე (თბილისი)
4. ნუხა გაგოშიძე (თბილისი)
5. ვალერი ვაშაკიძე (თბილისი)
6. კონსტანტინე მალიშკოვი (თბილისი)
7. ვალენტინ ნედაშკოვსკი (თბილისი)
8. ალექსანდრე სტეპანოვი (თბილისი)
9. გივი ჩადუნელი (თბილისი)
10. ალექსანდრე ჯალალოვი (ცხინვალი).

***ფუნქციონერები***

1. დიმიტრი იოსელიანი (თბილისი)
2. ვლადიმერ სამსონაძე (თბილისი)
3. კარლო გიორგაძე (ბათუმი)
4. გიორგი ერქომაიშვილი (ოზურგეთი)
5. თამაზ მდინარაძე (თბილისი)
6. ნოე ლობჟანიძე (თბილისი)
7. ედუარდ ლომთაძე (თბილისი)
8. მამია ტუღუში (თბილისი)
9. მიხეილ ოდიშარია (თბილისი)
10. ყარამან საბანაშვილი (თბილისი)

**სულ დასახელდა: სპორტსმენი — 90, მწვრთნელი — 60, მსაჯი — 48, ფუნქციონერი — 24.**

***კომისიის შემადგენლობა:*** თამაზ მდინარაძე (თავმჯდომარე), ყარამან საბანაშვილი — მოადგილე, ჰამლეტ ათაბეგოვი — მდივანი; წევრები: არჩილ კონსტანტინოვი, რევაზ ტრაპაიძე, ვალენტინ ნედაშკოვსკი, ნოე ლობჟანიძე, მიხეილ ოდიშარია, ედუარდ ლომთაძე, რევაზ გოგეშვილი, ბაგრატ მექვაბიშვილი.

ტრამპლინიდან თხილამურების ხტომა გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" პრიზებზე

# სადაც კობა წაქაძეა, იქ ტრამპლინიდან ხტომაცაა

20 წელიწადზე მეტია ბაკურიანში ტრადიციულად ტარდება მფრინავ მოთხილამურეთა შეჯიბრება გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" პრიზებზე. დაბაში შემორჩენილ 25 მეტრიან ტრამპლინზე ამჯერად კობა წაქაძის აღსაზრდელებმა ორ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. საგულისხმოა, რომ უფროსთა შორის (1982-84 წლებში დაბადებულები) ერთადერთი უმცროსი მონაწილე, 10 წლის თორნიკე ფანქველაშვილი დაუშვეს სასპარეზოდ და ყველას განსაცვიფრებლად, ორი სერიის ჯამში ამ ბიჭმა 122 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. თორნიკემ ლეგენდარული კობა წაქაძის შექება დაიმსახურა. პირველობა მოიპოვა გიორგი წიკლაურმა — 152,5, მეორე იყო მალხაზ სოტიშვილი — 151,5.

უმცროსებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ლევან გურეშიძე — 147,5, 2. გიორგი კილაძე — 135,5. 3. ამირან ფანჯიკიძე (ეს ამ ყმაწვილის პირველი შეჯიბრება იყო) — 105. პრიზების გარდა, გამარჯვებულები და პრიზიორები „ლელოს" და „ბორჯომის" გაზეთების სიგელებით დაჯილდოვდნენ.

რედაქციები მადლობას უხდიან შეჯიბრების ორგანიზატორებს კობა წაქაძის ხელმძღვანელობით. გამოცდილ სპეციალისტებთან ბეჟან და ფელიქს ჭუმარიტაშვილებთან ერთად ენთუზიაზმით გაისარჯნენ ახალგაზრდები პავლე ხაჩატურიანი, გიორგი მელქაძე, მიშიკო და ლევან კოზანაშვილები. ქალბატონმა ირინა მოსესოვამ კი სპორტსმენებს თავისი ნახელავი სპორტული გუდები გადასცა საჩუქრად.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
„ლელოს" კორ., ბაკურიანი.



*სურათზე: „ლელოს" პრიზზე გამარჯვებული და პრიზიორები. მარცხნიდან: ამირან ფანჯიკიძე (III), ლევან გურეშიძე (I) და გიორგი კილაძე (II).*

*ავტორის ფოტო*

# ქართველი ბიჭები უკრაინის პირველობის ერთ-ერთი ლიდერები არიან

საქართველოს ჭაბუკმა წყალბურთელებმა წარმატებებს შეგვაჩვიეს, თანაც ხან რუსეთის, ხანაც უკრაინის ღია პირველობებში იმარჯვებენ. ამჯერად 1983-84 წლიანთა ნაკრები (უფროსი მწვრთნელი ბორის მეგედი, მწვრთნელები — კახა კინწურაშვილი და ვაჟა ჩეტკოევი) უკრაინის ღია პირველობაში ასპარეზობდა ამ ქვეყნის 7 და მოლდოვას ნაკრებებთან ერთად. საგულისხმოა, რომ თბილისელთა რიგებში რამდენიმე უმცროსი ასაკის წყალბურთელებიც თამაშობდნენ. ჩვენებმა ერთნაირი ანგარიშით 10:0 სძლიეს მოლდოველებს და უჟგოროდელებს, სევასტოპოლის გუნდს აჯობეს — 8:3, ხარკოვის მეორე გუნდს მოუგეს — 5:0, მარიუპოლელებს — 8:7, ფრედ დაასრულეს მატჩი დნეპროპეტროვსკელებთან — 5:5, ლვოველებს აჯობეს — 9:6, მხოლოდ ერთადერთი შეხვედრა დათმეს თბილისელებმა 2:7 ხარკოვის პირველ ნაკრებთან, რომელმაც საბოლოოდ ამ მოგებით პირველობა მოიპოვა, მეორე ადგილზე ჩვენები გავიდნენ, მესამეზე — მარიუპოლელები. ეს იყო პირველი ტურის შეხვედრები, მეორე ტური ივნისში გაიმართება. განაგრძობენ თუ არა თბილისელები მონაწილეობას ამ პირველობაში? ჯერჯერობით ამ კითხვაზე დაზუსტებულ პასუხს ვერავინ იძლევა. ისევ და ისევ ტრადიციული ფინანსური პრობლემა დგას დღის წესრიგში.



**ვაშა, დედოფლისწყაროელებს!**

კიკ-ბოქსინგი • „ძლიერთა ტურნირი"

ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა სპორტული მუშაობა დედოფლისწყაროში. რაიონის სპორტსმენები ხშირად გამოდიან სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და თავადაც მასპინძლობენ ტურნირებს. ამ დღეებში აქ კიკ-ბოქსინგში ქვეყნის რჩეულ სპორტსმენთა ასპარეზობა გაიმართა, რომლის ჩატარების ინიციატორი იყო ადგილობრივი კლუბი „ჩემპიონი", ფინანსური მხარდამჭერი იოსებ ნატროშვილი, რომელმაც მანამდე მსოფლიო პირველობაზე დააფინანსა სპორტსმენები. იგი ამჯერადაც გულუხვი იყო.

ტურნირი მოიგეს მასპინძლებმა, მათ 15-დან 12 შეხვედრა მოიგეს. გამარჯვებულთა შორისაა მსოფლიო ჩემპიონი გიორგი წიკლაური (57 კგ), მეორე პრიზიორები გახდნენ ზვიად გომიაშვილი (54) და ქალებში ელენე ბოლაშვილი (54).

*სურათზე: დედოფლისწყაროს გუნდი, რომელიც ქ. პრაღაში მონაწილეობდა კიკ-ბოქსინგში 2000 წლის მსოფლიო პირველობაში. მარცხნიდან: I რიგში — გია ბოსტოლანაშვილი და ნოდარ ფიროსმანაშვილი. დგანან — ზვიად გომიაშვილი, თამაზ ყარაგეზაშვილი (მწვრთნელი), გიორგი წიკლაური და ელენე ბოლაშვილი.*

**ერიჰაა!**

# ფარიკაობა — შინდის ჯოხებით?!

ბოლო 10 წელიწადში ბევრ სფეროში, ცხოვრების პირობებით შორეულ წარსულში დავბრუნდით. ვისაც ჩვენში სპორტულ საქმიანობაზე მზერა მიუწვდება, დაინახავს, რომ სპორტის ბევრ სახეობაში მოზარდებს მწვრთნელები იმ საშუალებებით და პირობებში ავარჯიშებენ, ქვეყანაში ის-ის იყო ფეხს რომ იდგამდა სპორტი. ზოგიერთი ალბათ გაიხსენებს, მაგალითად, როგორ ინერგებოდა ფარიკაობა ზესტაფონში შესანიშნავი მწვრთნელის სიმონ საყვარელიძის თაოსნობით. ისტორიამ შემოგვინახა ფაქტი, რომ ეს კაცი, საფარიკაო იარაღის ნაცვლად, საგანგებოდ გათლილი თხილის ჯოხებით ასწავლიდა ფარიკაობას შეგირდებს.

ვინ იფიქრებდა, ახლა, უკვე 21-ე საუკუნეში, ამ ამბავს დღევანდელობასთან, ანალოგისთვის თუ გავიხსენებდით, არადა, ისტორია მეორდება, თანაც მეორდება არა სადღაც პროვინციაში, არამედ, აგერ, თბილისში, ქვეყნის დედაქალაქში.

ამბავი ბავშვთა და მოზარდა ოლიმპიური რეზერვის სტატუსის ფარიკაობის სპორტულ სკოლაში ხდება. დიდი ხანია ამ სკოლას საფარიკაო ინვენტარი შემოაკლდა, ახლის შეძენას კი თანხები ესაჭიროება, რომელიც სკოლას არ გააჩნია. რა უნდა ექნათ? ადგნენ და ზესტაფონელთა ოდინდელი გამოცდილება გაიხსენეს. „მხსნელად" მოევლინათ ბაგებში მცხოვრები სკოლის დარაჯი, რომელმაც შინდის ჯოხები შეაგროვა და ახლა ეს „ინვენტარი" გაუწევს ბავშვებს საფარიკაო იარაღის მაგივრობას.

ვითომ ისტორია სპორტულ შედეგებშიც განმეორდება და ჯოხის ხმლით „გაზრდილი" დღევანდელი მოზარდები გზას გაიკვლევენ დიდ საფარიკაო ბილიკზე?

# კვლავ რეკორდსმენთა შორის

ამ დღეებში საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციამ მილანიდან მიიღო ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ბიულეტენი, რომელშიც გამოქვეყნებულია კონტინენტის ოფიციალური რეკორდების სრული ცხრილი. მასში კვლავ ვხვდებით ჩვენს თანამემამულეს, ნატო ნასარიძეს (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი), რომელიც მეათე წელია წარმატებით გამოდის თურქეთის სახელით. ნატოს ეკუთვნის ევროპის 13 უმაღლესი მიღწევა. ორი პირადში და ამდენივე გუნდურში. ბიულეტენში აგრეთვე დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ კავშირის ადგილსამყოფელი მილანიდან გადავიდა სტამბოლში.

**რუბენ კაცობაშვილი**

**სამბო** **საქართველოს პირველობა**

# ორიენტირი ევროპაა!

ევროპის ჩემპიონატის წინ თბილისმა სამბოში საქართველოს პირველობას უმასპინძლა სამ ასაკობრივ ჯგუფში — კონტინენტის პირველობაც ბულგარეთში სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართება ჭაბუკთა, ახალგაზრდებსა და მოზრდილთა ნაკრები გუნდებისთვის.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ***ჭაბუკები. 48 კგ:*** 1. კ. მამულაშვილი (კასპი), 2. ა. კუზანაშვილი (საგარ), 3. ნ. ბერაია (ფოთი), ვ. სეთური (თბ); ***56 კგ:*** 1. ზ. ტატულიშვილი, 2. ა. ცინცაძე (ორივე — თბ), 3. ა. შაქარაშვილი, რ. ბაჩოშვილი (ორივე — საგარ); ***52 კგ:*** 1. გ. სანიკიძე, 2. ვ. კიკვაძე (ორივე — ქუთ), 3. დ. მუნჯიშვილი (თბ), თ. ოქრუაშვილი (ძალისი); ***60 კგ:*** 1. ვ. გიგიბერია (ფოთი), 2. შ. სონიშვილი (ძალისი), 3. ლ. მიქაბერიძე (ფოთი), მ. ხომეზური (თბ); ***65 კგ:*** 1. მ. მურადაშვილი (გორი), 2. მ. სენაშვილი (თბ), 3. მ. სახვაძე (გორი), მ. მორგოშია (ხობი); ***70 კგ:*** 1. ლ. მარკოზაშვილი (გორი), 2. ბ. დევდარიანი (ზუგ), 3. ე. კოპალიანი (ქუთ), გ. ბაინდურაშვილი (მცხ); ***75 კგ:*** 1. ლ. წიკლაური (თბ), 2. ს. აჯეტიკოვი (თელ), 3. ჯ. ზვიადაური (თბ), ბ. გავაშელიშვილი (დ/წყარო); ***81 კგ:*** 1. გ. თორთლაძე, 2. ვ. რაზმიაშვილი (ორივე — ქარელი), 3. რ. გოგიაშვილი, კ. ბალალაშვილი (ორივე — კასპი); ***87 კგ:*** 1. გ. ბეჭვაია (ქუთ), 2. ზ. კვიციანი (ზუგ), 3. შ. ბექიტაშვილი (კასპი), დ. გუგესიანი (გორი); ***+87 კგ:*** 1. ლ. თაბორიძე (კასპი), 2. ი. გორგოძე (ზესტ), 3. თ. ჯულელი, თ. ლიპარტია (ორივე — თბ).

*(გაგრძელება იქნება)*

## სამბოს სრული შემადგენლობა

„ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ საქართველოს სამბოს ფედერაციის ყრილობის შედეგები. ფედერაციის ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობა ასეთია: პრეზიდენტი — ნოდარ ექვთიმიშვილი, ვიცე-პრეზიდენტები მურად მწარიაშვილი, ნოდარ მალვენიშვილი, ვასილ სიდამონიძე, გენერალური მდივანი — თენგიზ არაბული, უფროსი მწვრთნელი — ოლეგ იაძე.

# ყველაფერი ბათუმიდან დაიწყო

შარშანდლამდე უკრაინელ ნატალია ჟუკოვას (დაიბ. 1979 წ. 5 ივნისს) რაიმე განსაკუთრებული წარმატება არა ჰქონია, მაგრამ ბევრისათვის მოულოდნელად, გაზაფხულზე, ბათუმში, ევროპის ჩემპიონი გახდა, ზაფხულში კი შენიანში (ჩინეთი) მსოფლიო თასის ფინალურ მატჩში ითამაშა. ამის შემდეგ იგი უკვე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ აღიარეს.

აი რამდენიმე ნაწყვეტი ევროპის ჩემპიონის ინტერვიუდან.

● ***ყველაფერი ბათუმიდან, ევროპის ჩემპიონატიდან დაიწყო?***

— დიახ, დიახ. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის შეჯიბრება.

● ***მართალია, რომ ასლან აბაშიძემ ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მოგანიჭათ?***

— დიახ, ასეა. მან გამოსცა ამის დამადასტურებელი სპეციალური განკარგულება. ეს უფლებას მაძლევს შავი ზღვის პირას ვიქონიო მიწის ნაკვეთი და ავაშენო სახლი.

● ***ბათუმის შემდეგ მსოფლიო თასის მოგების იმედი გქონდათ?***

— როცა მონაწილეთა სიას გავეცანი, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. შვიდი ძლიერი ჩინელი მსოფლიო ჩემპიონ სიუ ჟუნთან ერთად, ამას დავუმატოთ ისეთი ვარსკვლავები, როგორნიც არიან მაია ჩიბურდანიძე, პია კრამლინგი, ანტუანეტა სტეფანოვა, ერთი სიტყვით, წავედი და ავიღე უკან დასაბრუნებელი ბილეთი ჯგუფური ტურნირის შემდეგ. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ასეთი პროცედურა კიდევ სამჯერ შევასრულე.

როგორც ჟუკოვამ განაცხადა, იგი მსოფლიო თასსაც მოიგებდა, გათამაშება რომ ჩინეთში არ ყოფილიყო, ისე კი, მეორე ადგილზე გამოვიდა სიუ იუიჰუას შემდეგ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# შემართებას ოსტატობა დაუპირისპირეს

*აჭალა. „სინათლის" სტადიონი. XVIII ტურის გამოტოვებული მატჩი:*
**მერანი-91 (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0-0.**
**მერანი-91:** ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, კვეკვესკირი, ბოლქვაძე (შ. ხუჯაძე, 77), ხუციშვილი (ჭინჭარაული, 72), ჩხაიძე, დევიძე, კოშკაძე, გოდერძიშვილი (ცქიფურიშვილი, 86), მინაშვილი.
**ტორპედო:** გვარამაძე, ლევან სილაგაძე, ვაშაკიძე (არჩვაძე, 50), მახვილაძე, თოდუა, ჯინჭარაძე (გონჩაროვი, 68), დიდავა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი (გვირჯიშვილი, 68), დ. ჯანაშია, აშვეთია.
*გააფრთხილეს:* აშვეთია, ჩხაიძე, ხუციშვილი.
*მსაჯი:* ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

თქმა არ უნდა, სტუმრებმა ოსტატობით აშკარად აჯობეს მერანელებს და არცაა გასაკვირი — ტორპედოელთა უმრავლესობა ხომ ქვეყნის ნაკრები გუნდების ფეხბურთელებია. რა დაუპირისპირეს მათ თბილისელებმა? ჟინი, შემართება და, რაც მთავარია, მწვრთნელის მიერ შერჩეული სწორი ტაქტიკა — გაძლიერებული დაცვა და სწრაფ კონტრშეტევებზე აგებული თამაში. მასპინძლებმა საწადელს მიაღწიეს და ექსეულში მოსახვედრი მეტად საჭირო ქულა მოიპოვეს.

თქვენი მონა-მორჩილი ქუთაისელთა ზედიზედ მეორე შეხვედრას დაესწრო და კვლავ უკმარისობის გრძნობით დატოვა სტადიონი — პირველობის ფავორიტმა ისევე, როგორც ამას წინათ რუსთავში, აჭალაშიც ვერ აჩვენა საჩემპიონო თამაში. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამჯერადაც ქუთაისელთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სასტარტო შემადგენლობაში მცველების სიჭარბე უნდა იყოს. „გორდას" წინააღმდეგ იმერლებმა 7 (!) უკანახაზელით ითამაშეს, „სინათლეზე" — ერთით ნაკლები. შეიძლება შემედავონ, ქემოკლიძე და დიდავა უფრო ნახევარდაცვაში ირჯებოდნენო, მაგრამ სად ნომინალური მცველებით თამაში, სად ჩამოყალიბებული შუახაზელებით...

რამდენიმე სიტყვა უშუალოდ მატჩზე. როგორც აღვნიშნეთ, სტუმართა უპირატესობა საგრძნობი იყო. ჯერ მარტო აშვეთიას ოთხჯერ ჰქონდა შესაძლებლობა დაელაშქრა ნაჭყეპიას კარი. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი მომენტი მოხდა პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც ქუთაისელთა გოლეადორმა 5 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით „მერანის" კარისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ მასპინძლები აშკარა გოლისგან მეკარემ იხსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი, საერთოდ, სასწაული მოხდა — სამი წუთი არ მოსცილებია ბურთი მასპინძელთა საჯარიმო მოედანს: ქუთაისელებმა დროის ამ მონაკვეთში ოთხი კუთხური ჩამოაწოდეს, მაგრამ მთელი გუნდით უკან დახეულმა „მერანმა" შეძლო სტუმართა გააფთრებული შეტევების გაუვნებელყოფა.

**ჯემალ ჯიქაშვილი**

## უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.** | **20** | **16** | **2** | **2** | **35-7** | **50** |
| **ტორპედო** | **20** | **13** | **5** | **2** | **31-7** | **44** |
| **დინამო (თბ)** | **20** | **13** | **3** | **4** | **47-19** | **42** |
| **ვიტ ჯორჯია** | **20** | **10** | **6** | **4** | **28-14** | **36** |
| **კოლხ.-1913** | **20** | **8** | **6** | **6** | **21-16** | **30** |
| **მერანი-91** | **20** | **7** | **8** | **5** | **20-19** | **29** |
| დინამო (ბთ) | 20 | 7 | 4 | 9 | 28-27 | 25 |
| სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15-28 | 22 |
| თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19-35 | 18 |
| გორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15-25 | 18 |
| დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13-39 | 15 |
| იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3-39 | 3 |



*მერანი-91 — ტორპედო*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

## XXI ტურის ანონსი (უმაღლესი ლიგა)

კვირის ტური გამორჩეულია, ბათუმში საუკეთესო ექსეულის ბოლო წევრი გაირკვევა. გუნდებს შორის სხვაობა ოთხი ქულაა, „მერანი" წინაა, ზღვისპირელებს კი უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, უნდა მოიგონ თბილისელებმა — უპირატესობა შეინარჩუნონ. ასე რომ, დაძაბული და საინტერესო მატჩი იქნება. სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავი ფოთური შერკინებაა — „კოლხეთი" „ვიტ ჯორჯიას" მიიღებს.

*18 მარტი, კვირა*
სიონი — გორდა. მთ. მსაჯი სერგო კვარაცხელია.
დინამო (ბთ) — მერანი 91. მთ. მსაჯი ლევან ფანიაშვილი.
დინამო (თბ) — იბერია. მთ. მსაჯი ავთო შალამბერიძე.
ტორპედო — თსუ. მთ. მსაჯი დავით სანაია.
კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია. მთ. მსაჯი მერაბ მალაღურაძე.
ლოკომოტივი — დილა. მთ. მსაჯი ალექსანდრე შილაკაძე.

## პირველი ლიგა. XX ტურის ანონსი

*17 მარტი, შაბათი*
თორი — ოკეანე
დინამო (ზ) — კოლხეთი (ხ.)
შუქურა — ცხინვალი
სამგურალი — მილანი
თბილისი — ივერია
მეტალურგი — ლოკომოტივი 2



თბილისი. 14 მარტი. 2001 წ. „შევარდენის" სტადიონი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი
**საქართველო — აზერბაიჯანი 2-0**
(ახალგაზრდული ნაკრებები)
**საქართველო:** ლომაია (მერლანი, 46), საჯაია, ჩივაძე (გილაური, 46), აბრამიძე, კაკაშვილი, კვირველია (სალუქვაძე, 46), კვარაცხელია (მანწკავა, 46), ბურდული, ხიზანიშვილი (ძამსაშვილი, 66), იმედაძე, მელქაძე (გ. შენგელია,46).
**აზერბაიჯანი:** ჰასან-ზადე, გაჯიევი, რ. აბასოვი, გაფიტულინი, ალიევი, რახმანოვი, რ. მუსაევი (სულთანოვი, 73), იმამალიევი, ჰასანოვი (გულამოვი, 46), ნაბიევი (ს. მუსაევი, 46, ნასიბოვი, 87), ა. აბასოვი.
*გოლები:* 1-0, 2-0 იმედაძე (36, 45).
*გააფრთხილეს:* საჯაია, ჩივაძე, კაკაშვილი, კვირკველია, გასანოვი, გაჯიევი.
*გააძევეს:* რახმანოვი, შენგელია.
*მსაჯები:* მერაბ მალაღურაძე, მამუკა ელიკაშვილი, ავთანდილ სამხარაძე,
*მეოთხე მსაჯი:* ავთანდილ შალამბერიძე (ყველა — საქართველო).
*დელეგატი:* ბორის სიჭინავა (საქართველო).

# გაფერადებული გამარჯვება

მურთაზ ხურცილავას შეგირდებმა წლეულს მეორე ამხანაგური მატჩიც მოიგეს. თებერვალში დამარცხებულ უკრაინას, ახლა აზერბაიჯანელი თანატოლებიც მიაყოლეს. 14 მარტის მატჩმა გვაჩვენა, რომ გუნდი, არასტაბილური შემადგენლობის მიუხედავად, რომლის მიზეზი ფეხბურთელთა ხშირი ტრავმებია, მაინც გამარჯვებაზე ფიქრობს, არც თავს ზოგავს და არც მეტოქეს. ეს თვალნათლივ ჩანდა. ოთხი ყვითელი და ორი წითელი ბარათი — ასეთია მეტოქეთა „მონაგარი". ამხანაგური მატჩისთვის ეს არაფერია, რუმინელებთან ოფიციალურ, შესარჩევ შეხვედრაში კი, როდესაც არც მსაჯია შინაური და მეტოქეც კბილებით შეგებრძოლება, თავშეკავება და ნერვების მოთოკვა გვმართებს, თორემ გუნდს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას. გარდა ზემოთ თქმულისა, ქართველებს შუა ხაზისა და თავდასხმის გაძლიერება მართებთ. ფეხბურთელთა პერსპექტივა კი ჩანს, მაგრამ მარტო ეს შესარჩევი ციკლის ღირსეულად გავლისათვის საკმარისი არ არის. 90 წუთის განმავლობაში სტუმრებს ჩვენი კარისკენ ხეირიანად არც დაურტყამთ, თუმცა არც მასპინძლები ქსოვდნენ ჩახლართულ კომბინაციებს. ერთი იყო, ტორპედოელი გია იმედაძე ირჯებოდა კარგად, ბევრს მოძრაობდა და სულ მეტოქის კარისკენ მიმართულს დაუფასდა კიდეც. პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში გიამ პარტნიორების ლევან მიქელაძისა და ლადო ბურდულის ორი ფლანგური შეტევა გოლად აქცია და დუბლი შეასრულა. მეორე ტაიმში საინტერესო და დასამახსოვრებელი, გარდა კაკაშვილის თავით დარტყმულისა და აზერბაიჯანელი მეკარის თავგანწირული ნახტომისა, არაფერი მომხდარა. ხურცილავამ ჩვიდმეტივე ფეხბურთელი გამოსცადა, დავით კვირკველიასათვის, ვლადიმერ კაკაშვილისათვის და ლაშა სალუქვაძისთვის ეს მატჩი სადებიუტო იყო. რუმინეთამდე ზუსტად ორი კვირა გვრჩება და ამ თოთხმეტ დღეში ყველა ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ, შემადგენლობაც უნდა გავაძლიეროთ, რათა ამხანაგური წარმატებების გავრცელება ოფიციალურ მატჩებშიც შევძლოთ.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



იმედაძეს მეორე გოლი გააქვს

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

## პრესკონფერენციაზე

**ალხან აბდულაევი (აზერბაიჯანის ნაკრების მეორე მწვრთნელი):** შესაძლებლობების 80 % გამოვავლინეთ. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ფრეს ვიმსახურებდით, მაგრამ დაცვაში დაშვებულმა ორმა შეცდომამ წაგვაგებინა. მეტოქე გუნდი მომეწონა, გარდა სათამაშო უპირატესობისა თქვენ სიმაღლეშიც გვაჯობეთ. დამარცხების მიუხედავად მოლდაველებთან მატჩამდე კარგი სპარინგი გამოგვივიდა. მადლობას მოგახსენებთ მასპინძლობისთვის.

**სერგო კუტივაძე (საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი):** ამდენი ყვითელი და წითელი ბარათი დავიმსახურეთ, ეს იმის დასტურია, რომ კლუბებში დისციპლინის მხრივ სათანადო მუშაობა არ ტარდება. გვინდოდა გიორგი შენგელიასთვის სტიმული მიგვეცა, ნაკრებში თამაში გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დაეხმარებოდა, მან კი... ძნელი თამაში იყო. მეტოქეს კლასი არ ჰქონდა, მაგრამ წამითაც არ გაჩერებულა. აზერბაიჯანელებთან თამაში ჩვენთვის იმით იყო საყურადღებო, რომ რუმინელები დაახლოებით ასეთი სტილით თამაშობენ. დღეს ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი გვაკლდა, თუმცა, ვისარგებლეთ და ყველა შევამოწმეთ. კაკაშვილს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, კვირკველიას ფიზიკური მომზადება აკლია. ნახევარდაცვის სისუსტე კვარაცხელიას და ხიზანიშვილის ფორმაში არყოფნამ განაპირობა. ზურას სატრანსფერო მღელვარება და უთამაშებლობა ეტყობა. ამდენმა ნერვიულობამ და სტრესმა კალაპოტიდან ამოაგდო. გუნდური თამაშის დალაგებისათვის რამდენიმე თვეა საჭირო. რუმინეთამდეც და შემდეგაც ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ გუნდის თითოეულ წევრს კონკრეტულ მატჩში დასახული ფუნქცია უკეთ შევასრულებინოთ.

## კენჭი ვყაროთ. გავნაწილდეთ!

საქართველოს თასის მეოთხედფინალის მატჩები შარშან დეკემბერში გაიმართა. წლეულს კი ჯერი ნახევარფინალებზეა. გათამაშების ამ ეტაპს ოთხი გუნდი შემორჩა. ქუთაისის „ტორპედო" და სამი თბილისური გუნდი — „ლოკომოტივი", „ვიტ ჯორჯია", „მერანი". ლაპარაკი არ უნდა, საინტერესო ორთაბრძოლები გველის, მანამდე კი, კონკრეტულად, 23 მარტს ფეხბურთის ფედერაციაში ნახევარფინალების კენჭისყრის ცერემონია გაიმართება.

დასასრულს მიუახლოვდა XII ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპიც. დარჩენილმა ორმა ტურმა საბოლოოდ უნდა გამოავლინოს საუკეთესო ექვსეული და ისინი, ვინც ლიგაში დარჩენისთვის ითამაშებენ. 23 მარტს სათასო კენჭისყრასთან ერთად შუაზე გაყოფილი თორმეტი გუნდის წილისყრაც გაიმართება და ჩემპიონატის დასკვნითი, მეორე ეტაპის კალენდარიც დადგინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

# საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის რეგიონული ლიგის II წრის მარტის კალენდარი

**აღმოსავლეთის ზონა**

***XII ტური. 22.03, ხუთშ.***
ცხუმი — სამგორი
***23.03, პარასკევი***
ალაზანი — ჰაბუკიანი
კავკასიონი — ლოკომოტ.-3
ხალიბი — ასკ
თბილისი-2 — შსს აკადემია
ისვენებს ზოოვეტი
***XIII ტური, პარასკევი***
ლოკომოტ.-3 — თბ.-2
აკადემია — ხალიბი
ასკ — ცხუმი
სამგორი — ალაზანი
ჰაბუკიანი — ზოოვეტი
ისვენებს კავკასიონი

**ცენტრალური ზონა**

***XII ტური. 23.03, პარასკ.***
ვიტ ჯორჯია-2 — ს.ა. იბერია
ოლიმპიკი — დინამო-2
საბურთალო — მესხეთი
ამირანი — დილა-2
***24.03, შაბათი***
მრეტები — ვარძია
ისვენებს ვალენსია
***XIII ტური. 3003, პარასკ.***
დინამო-2 — ამირანი
დილა-2 — საბურთალო
მესხეთი — ვიტ ჯორჯია-2
ს.ა. იბერია — მრეტები
***31.03, შაბათი***
ვარძია — ვალენსია
ისვენებს ოლიმპიკი

**დასავლეთის ზონა**

***XII ტური. 23.03, პარასკ.***
მერცხალი — სქური
დინამო (სოხ) — სამეგრელო
მზიური — ლაზიკა
ინტერი — გურია-2
სულორი — კოლხეთი-2
სალხინო — დინამო-2 (ბთ)
***XIII ტური. 30.03, პარასკევი***
დინამო-2 (ბთ) — ინტერი
სალხინო — მერცხალი
გურია-2 — სულორი
კოლხეთი-2 — დინამო (სოხ)
სამეგრელო — სქური

*შენიშვნა: მარტში მატჩები დაიწყება 15 საათზე.*

# რუმინელთა დასახვედრად გამალებული მზადებაა

*(პირველი გვერდიდან)*

დელეგაცია ეწვევა. ეროვნული ნაკრები სასტუმრო „შერატონ მეტეხპალასში" დაბინავდება, ახალგაზრდული – ვერაზე მდებარე სასტუმროში, 14 ჟურნალისტი სასტუმრო „კოლხში" მოთავსდება. რუმინელები საქართველოში 25 მარტს 15 საათზე ჩამოფრინდებიან ჩარტერული რეისით. სტუმართა ეროვნული ნაკრები პირველ ვარჯიშს 25 მარტს 19 საათზე ჩაატარებს. ეროვნული სტადიონის საფარს კი მატჩამდე ორი დღით ადრე, ასევე 19 საათზე მოსინჯავენ. ახალგაზრდული ნაკრები „შევარდენზე", 26 მარტს, ათის ნახევარზე ივარჯიშებს.

მატჩების კომისრები და დელეგატები 27 მარტს ეწვევიან თბილისს. პირველად განხორციელდება მსაჯების დამატებითი კონტროლი. ეროვნულ ნაკრებთა მატჩის დელეგატი შვეიცარიელი ჟილბერტ ფაჩინეტია, ახალგაზრდულის – თურქი იუსუფ ნამოგლე, იგი ამავე დროს ორივე მატჩის მსაჯების ზედამხედველია.

რუმინელთა ძირითად და ახალგაზრდულ გუნდებს ყვითელი ფერის მაისურებით ვიხილავთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი „ეროვნულზე" 28 მარტს, 20 საათზე დაიწყება, ახალგაზრდები „შევარდენზე" 27 მარტს 15 საათზე ითამაშებენ ამ შეხვედრას.

# სფფ-ს ახალი ოფისის მშენებლობა მალე დაიწყება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის მშენებლობა რამდენიმე დღეში დაიწყება. საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა სფფ-სათვის ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად ვაკეში „ლოკომოტივის" სტადიონის შესასვლელთან მიწის ნაკვეთის გამოყოფის თხოვნას. სფფ-ს გადაეცა 300 კვ. მ. ფართობი. პრეზიდენტის განკარგულებით, ნაკვეთის გაფორმების საკითხი თბილისის მერიამ მოაგვარა.

„მადლობას ვუხდით ქალაქის მერს ვანო ზოდელავას და რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს აკაკი ჩხაიძეს თანადგომისათვის" — განაცხადა სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. მალე შერჩეულ სამშენებლო ფირმასთან ხელშეკრულება გაფორმდება და მშენებლობაც დაიწყება.

<u>გულშემატკივარი ედავება მწვრთნელს</u>

# ლოგიკა სულ სხვაა, ბატონო კობა,

## ანუ მოყვარეს პირში უძრახე...

გერმანიის ქ. ნორდლინგენში ჩატარებული შეკრების შემდეგ ჩვენი 17-წლიანთა ნაკრების მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი პრესაში აცხადებდა: „ორივე მატჩში პირწმინდად დავმარცხდით. მეტოქემ ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჩაგრა. დროა გამოვფხიზლდეთ და რეალურად შევხედოთ ყველაფერს. ჩვენსა და გერმანელებს შორის ფეხბურთში ისეთი სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ამ ერთმა კვირამ ბევრი რამ გამოაჩინა. ბევრ ისეთს დაანახვა თავისი შესაძლებლობა, თავი რომ ფეხბურთელი ეგონა. თითქმის ყველა სათამაშო რგოლში ხარვეზები გვაქვს, განსაკუთრებით უკანა ხაზშია დიდი პრობლემები. თბილისში დაბრუნებისთანავე დაუყოვნებლივ გავაგრძელებ სასელექციო სამუშაოებს და დღეს ჩემს ხელთ არსებული კონტიგენტიც, ალბათ, საგრძნობლად შეთხელდება. ნაკრები შეიცვლება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ისეთ გუნდი შევქმნათ, რომელიც თავს არ შეირცხვენს საერთაშორისო სარბიელზე".

სცდებით, ბატონო კობა! ეს თქვენ გგონიათ, რომ შეგიძლიათ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა. პირველ რიგში თქვენ უნდა გამოფხიზლდეთ და დატოვოთ ნაკრების მთავარი მწვრთნელის მეტად საპასუხისმგებლო პოსტი. ყმაწვილებს კი არა, ეს თქვენ გჭეროდათ მათი შესაძლებლობების, რადგანაც თქვენ აიყვანეთ ისინი ეროვნულ ნაკრებში (რომელსაც ერთ წელზე მეტია წვრთნით) და ახლა ასე ხელაღებით იშორებთ მათ.

თქვენ რომ გამარჯვების და სელექციის ხელოვნებას ვერ ფლობთ, დავინახეთ თბილისის „ლოკომოტივში" ჯერ ძირითადის, შემდეგ ახალგაზრდული შემადგენლობის მთავარ მწვრთნელად მუშაობისას. ერთში მართალი ბრძანდებით, ბატონო კობა, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებით თქვენ და გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი საფეხბურთო აზროვნებაში.

**P.S. მომიტევეთ, ბატონო კობა, ხომ საწყენია ასე ხელაღებით ლაპარაკი ზრდასრულ მწვრთნელზე, ალბათ მიხვდებით, რამხელა ტრავმას აყენებთ თქვენი განცხადებით მოზარდი ფეხბურთელების ფსიქიკას, რომელთაგანაც, ვინ დადგება კარგი ფეხბურთელი, მხოლოდ ღმერთმა იცის. მცირე პროგნოზს გავაკეთებ: თუ თქვენ დარჩებით ამ პოსტზე, ორ წელიწადში ყველას დაგვიმტკიცებთ (ამ თაობის მოთამაშეებს, ფეხბურთი სპეციალისტებს, გულშემატკივრებს) ე.წ. ჩვიდმეტწლამდელთა თაობის უპერსპექტივობას.**
**სამწუხაროდ, ასეთი განცხადებები დამახასიათებელია მოზარდ თაობაში მოღვაწე ქართველი მწვრთნელებისათვის.**

**პაატა სხირტლაძე, თბილისი**

# ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა. მეორე ჯგუფური რაუნდი

## A ჯგუფი

**ვალენსია (ესპანეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2-1**
0-1 ბასინასი (28, პენ.), 1-1 ხუან სანჩესი (39), 2-1 ანგლომა (75).

„ვალენსიამ" მორიგი გამარჯვებით დაასრულა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი, რომელიც ესპანური კლუბის ზეობით აღინიშნა. ჰექტორ კუპერის შეგირდებს ამ მატჩში მოგება პირველი ადგილის დასაკავებლად სჭირდებოდათ, ვინაიდან


ზახოვიჩი

მოსალოდნელი იყო, რომ სატურნირო ცხრილში მათი მდევარი მანჩესტერელები ადვილად სძლევდნენ ავსტრიელებს. „ვალენსიას" ამ ამოცანის შესრულებაში ძლიერ დაეხმარა 35 წლის ფრანგი ლეგიონერი, მცველი ანგლომა, რომელმაც ზახოვიჩის საჯარიმო დარტყმიდან მეტოქე მცველთაგან უკუგდებული ბურთი ყუმბარასავით გაგზავნა მეკარე ხალკიასის კარში, 2-1. მანამდე კი, სანამ ანგლომა გამარჯვების გოლს გაიტანდა, მეტნაკლებად თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, აი, მეორე ნახევრიდან კი მასპინძლებმა მკვეთრად უმატეს ტემპს. გაცილებით გამოაცოცხლა მათი თამაში ინერტული დეშამის შეცვლამ ბიორკლენდზე.

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — შტურმი (ავსტრია) 3-0**
ბატი (5), შერინგემი (20), კინი (86).

მეორე გუნდი, რომელიც „A" ჯგუფიდან მეოთხედფინალში გავიდა,


შერინგემი

„მანჩესტერ იუნაიტედი" გახდა. მატჩამდე ცნობილი იყო, რომ შემდეგ ეტაპზე ბრძოლის გასაგრძელებლად, „შტურმს" სამი გოლის სხვაობით უნდა მოეგო. მაგრამ მოხდა პირიქით — ინგლისელებმა თავად ინებეს დიდი ანგარიშით ზეობა.

მთელი მატჩის მანძილზე ინგლისელთა უპირატესობა აშკარა იყო და ანგარიში მაინც სრულად არ ასახავს იმ დიდ სხვაობას კლასში, რომლითაც მეტოქეები ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალენსია** | **6** | **3** | **3** | **0** | **10-2** | **12** |
| **მანჩესტერი** | **6** | **3** | **3** | **0** | **10-3** | **12** |
| შტურმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-13 | 6 |
| პანათინაიკოსი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-10 | 2 |

## B ჯგუფი

**მილანი (იტალია) — დეპორტივო (ესპანეთი) 1-1**
0-1 ჯალმინია (75, პენ.), 1-1 შევჩენკო (86, პენ.).

ამ ფრემ ესპანური კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ეტაპზე ბრძოლის გასაგრძელებლად კახი კალაძის თანაგუნდელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, როსონიერებმა ძალზე უფერულად ისპარეზეს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გუნდის სუსტი შეტევითი რგოლი — მეტოქის კარში გოლის


ჯალმინია

გამტანი შევჩენკოს გარდა არავინაა, ამ შეხვედრაში კი უკრაინელი ლეგიონერი მჭიდროდ „ჩაკეტეს". ალბერტო ძაკერონიმ მეორე ტაიმში შეცვლაზე გამოიყვანა ბა, ბირხოფი, სერჟინიო, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა და, როგორც ეტყობა, ამ მატჩის შემდეგ გარკვეული დროით „მილანი" უმწვრთნელოდ დარჩება.

**პსჟ (საფრანგეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 2-0**
კრისტიანი (3,27).

ამ გამარჯვებით პსჟ-მ ერთობ გაიმართლა თავი საკუთარი მაყურებლის წინაშე, მაგრამ გარდა მორალური კმაყოფილებისა, ამან ვერაფერი სარგებელი მოუტანა მასპინძლებს — მეოთხედფინალში მაინც თურქები გავიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ 58-ე წუთზე მატჩი შეწყდა იმის გამო, რომ მინდორზე გამოვარდა ორი თურქი გულშემატკივარი, რამაც უკიდურესად დაძაბა სიტუაცია ტრიბუნებზე, სადაც ფრანგი მაყურებელი სტუმრებს დაერია, რომ არა პარიზელი პოლიციელების ვაჟკაცობა, ყოველივე ფატალური შედეგით დამთავრდებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | **6** | **3** | **1** | **2** | **10-7** | **10** |
| **გალათასარაი** | **6** | **3** | **1** | **2** | **6-6** | **10** |
| მილანი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-7 | 7 |
| პსჟ | 6 | 1 | 2 | 3 | 8-10 | 5 |

## C ჯგუფი

**სპარტაკი (რუსეთი) — ლიონი (საფრანგეთი) 1-1**
1-0 პარფენოვი (4, პენ.), 1-1 ანდერსონი (68, პენ.)

მატჩი რომ დასრულდა, „ლიონის" ფეხბურთელები „ლუჟნიკების" გაყინულ მინდორზე გაიშხლართნენ და სიმწრისაგან აქვითინდნენ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსებისთვის ამ უმოტივაციო შეხვედრაში მოვლენები ასე განვითარდებოდა — სლავებმა თავი დასდეს და ფრანგებს არ გაამარჯვებინეს.

„ლიონის" შემადგენლობაში არ იყო დისკვალიფიცირებული დეფლანდრი, ხოლო წინა მატჩის გმირი გოვუ სათადარიგოთა სკამზე დარჩა და მინდორზე მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში გამოჩნდა.

შეხვედრა მოსკოველი ფეხბურთელების შეტევებით დაიწყო: მეტოქის საჯარიმო მოედანში შეჭრილი ბულატოვი ედმილსონმა მოცელა, რისთვისაც მასპინძლებმა პენალტი მოიპოვეს. მისი რეალიზაცია პარფენოვს არ გასჭირვებია. ფრანგებმაც 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს ანგარიში — მეკარე ფილიმონოვმა სონი ანდერსონი მოცელა. მატჩის ბო-


მატჩის ერთ-ერთი მომენტი

ლო წუთები სტუმართა [illegible] ლი შეტევებით აღინიშნა, მაგრამ რუსებმა კბილებით დაიცვეს საკუთარი კარი.

**ბაიერნი (გერმანია) — არსენალი (ინგლისი) 1-0**
ელბერი (10)

მასპინძლები რთულ სიტუაციაში მოექცნენ — ეს მატჩი რომ „არსენალს" მოეგო, ხოლო მოსკოვში „ლიონს", მეოთხედფინალის მიღმა რჩებოდნენ.

ამიტომ გერმანელებმა თავიდანვე გაფთრებით შეუტიეს სიმენის კარს და მალევე მიაღწიეს საწადელს: ლიზარაზუს გადაცემას ჯოვანე ელბერმა უზადო თავური დაუხვედრა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

**არსენ ვენგერი, „არსენალის" მთავარი მწვრთნელი:** „წაგების მიუხედა-


ელბერი

ვად ბედნიერები ვართ — ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუძღვნა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებს, რომლებიც უმოტივაციო მატჩში „ლიონს" არ დანებდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | **6** | **4** | **1** | **1** | **8-5** | **13** |
| **არსენალი** | **6** | **2** | **2** | **2** | **6-8** | **8** |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-4 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |

## D ჯგუფი

**ლიდსი (ინგლისი) — ლაციო (იტალია) 3-3**
0-1 რავანელი (21), 1-1 ბოუერი (28), 1-2 მიხაილოვიჩი (29, პენ.), 2-2 უილკოკსი (43), 3-2 ვიდუკა (62), 3-3 მიხაილოვიჩი (90).

მსაჯის მიერ დამატებულ დროში „ლაციომ" მიხაილოვიჩის გოლით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — „ანდერლეხტის" გამარჯვებამ „რეალთან", რომაელები ჯგუფში ბოლო ადგილზე დატოვა.

მატჩი უხვგოლიანი და საინტერესო საყურებელი გამოდგა. რავანელიმ ნედვედის გადაცემით გახსნა ანგარიში, მაგრამ რამდენიმე წუთში გაიბრწყინა ლი ბოუერმა, რომლის შორეული დარტყმული ბურთი სტუმართა კარის „ცხრიანში" ჩაეშვა. სტუმრებმა განაახლეს თუ არა შეხვედრა, ისევ მიაღწიეს წარმატებას — დი მატეომ საკუთარ საჯარიმო მოედანში რავანელი მოცელა, პენალტი კი მიხაილოვიჩმა გამოიყენა. დაახლოებით ასეთივე სცენარით, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა მატჩის დარჩენილი დრო.

**ანდერლეხტი (ბელგია) — რეალი (მადრიდი) 2-0**
დინდენი (85), გოორი (93)



„რეალმა" ბრიუსელში სარეზერვო შემადგენლობა ჩამოიყვანა, ვინაიდან ესპანელებს განაღდებული ჰქონდათ მეოთხედფინალში გასვლა. ამგვარად, მასპინძლების გამარჯვებას ამ მატჩში სენსაციურს ვერ ვუწოდებთ.

შეხვედრის გმირი გახდა ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი ბარტ გოორი, რომელმაც ჯერ დინდენს გაატანინა ბურთი, მერე კი თავადაც გამოიჩინა თავი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | **6** | **4** | **1** | **1** | **14-9** | **13** |
| **ლიდსი** | **6** | **3** | **1** | **2** | **12-10** | **10** |
| ანდერლეხტი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-12 | 6 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 9-11 | 5 |

მეოთხედფინალის კენჭისყრა დღეს გაიმართება.

# წიწილებს ითვლიან... მაისში!

## იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

იტალიის პირველობაზე 22 ტურია გათამაშებული, დაახლოებით ამ ასპარეზობის ორი მესამედი, ბევრი მიმომხილველი აშკარად აცხადებს, რომ ჩემპიონობას „რომა“ მოიპოვებს. ამის საფუძველი მათ, რა თქმა უნდა, აქვთ მაგრამ ასეთი დასკვნა ცოტა ნაადრევი ხომ არ არის, დარჩენილმა 12-მა ტურმა შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს.

პირველი წრის შემდეგ ექსპერტები ჩემპიონობის პრეტენდენტებად სამ კლუბს ასახელებდნენ: „რომას“, „იუვენტუსსა“ და „ლაციოს“. ახლა ვითარება შეიცვალა და „ლაციო“ უკვე ნაკლებ ანგარიშგასაწევ ძალად ჩანს.

XVIII ტურში „ლაციოს“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ თითქოს უნდა მოეგო ბერგამოს „ატლანტასათვის“, მაგრამ ვერაფერი გააწყო მის გაძლიერებულ დაცვასთან. მაშინ კი, როცა ვერონი და მისი პარტნიორები ახერხებდნენ სტუმრების კართან სახიფათოდ მიახლოებას, ჩინებულად თამაშობდა ბერგამოელთა ახალგაზრდა გოლკიპერი პელიცოლი — 0-0. ჩემპიონის შეფერხებით ისარგებლეს როგორც ლიდერმა „რომამ“, რომელმაც სტუმრად მოუგო „ბოლონიას“




(ბატისტუტამ თავისი მე-14 გოლი გაიტანა), ისე „იუვენტუსმა“ (3-0 „ნაპოლისთან“).

XIX ტურში ლიდერთა სამეული ისეთ გუნდებთან თამაშობდა, რომლებსაც გათამაშების ცხრილში მოკრძალებული ადგილები უკავიათ. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იტალიურ ფეხბურთში საერთოდ გაქრა აუტსაიდერის ცნება, ხიფათს შეიძლება ნებისმიერი გუნდისგან ელოდე. „რომამ“ საკუთარ მინდორზე მხოლოდ 69-ე წუთზე შეძლო ერთადერთი გოლის გატანა ფრიად შეუპოვარ „ლეჩესთან“. ეს 3 ქულა კი ლიდერს მოუტანა არგენტინელმა ვალტერ სამუელმა, რომელიც ახლა დიდ როლს ასრულებს ახალ კლუბში. ასევე ძალზე გაუჭირდა „იუვენტუსს“ სტუმრად უკანასკნელ ადგილზე მყოფ „ბარისთან“. კარლო ანჩელოტიმ ძალიან გვიან ჩართო თამაშში ალესანდრო დელ პიერო, რომლის „საფეხბურთო სიკვდილის“ შესახებ გავრცელებული ცნობები, ცხადია, მცდარი აღმოჩნდა და ეს ამ შეხვედრის უკანასკნელმა წუთებმაც დაადასტურა. 81-ე წუთზე დელ პიერომ, რომელიც ის-ის იყო შევიდა მინდორზე, ფრთიდან ჩინებული სოლო რეიდი განახორციელა, შევიდა საჯარიმო მოედანზე და რბილი მოჭრილი დარტყმით ერთადერთი გოლი გაიტანა. რაც შეეხება „ლაციოს“, რომელიც სტუმრად თამაშობდა ამ სეზონში კარგად მოთამაშე პროვინციულ „პერუჯასთან“, გაიმარჯვა სიმეონეს მიერ 88-ე წუთზე ასევე ერთადერთი გოლის წყალობით.

ამის შემდეგ „რომამ“ 45 ქულა მოაგროვა, „იუვენტუსმა“ — 39, „ლაციომ“ კი — 37. XX ტურს ლიდერთა შორის ძალთა შეფარდება არ შეუცვლია — სამივე მოიგო. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მატჩი ტურინში, სადაც „იუვენტუსმა“ „მილანი“ მიიღო. ამ გუნდების შეხვედრები ყოველთვის მძაფრი ბრძოლით გამოირჩეოდა. ეს გასაგებიცაა — „იუვენტუსი“ ქვეყნის 25-გზის ჩემპიონია, „მილანი“ კი „სკუდეტოს“ 16-ჯერ ფლობდა. როგორც კურიოზს, იხსენებენ იმ შემთხვევასაც, რომ 1949-50 წლების სეზონში „ბებერმა ქალბატონმა“ საკუთარ „დელ ალპის“ სტადიონზე მეტად დამამცირებელი დამარცხება — 1-7 (!) იგემა „მილანთან“, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ჩემპიონი გამხდარიყო. 1996-97 წლების ჩემპიონატში იმავე სტადიონზე „იუვენტუსმა“ რევანში აიღო ასევე საყურადღებო ანგარიშით 6-1. მართალია, ახლა ამ წამყვანი კლუბების მდგომარეობა ძალზე განსხვავებულია: „იუვენტუსი“, რომ იტყვიან, აწყობილი ანსამბლია, „მილანს“ კი რამდენიმე მოთამაშე აკლია და ხან რომელი „ხვრელი“ უნდა ამოავსოს და ხან რომელი. სტუმრები, რა თქმა უნდა, მთავარ უსიამოვნებას „იუვენტუსის“ იერიშების წარმმართველ ზინედინ ზიდანისგან მოელოდნენ, ამიტომ ალბერტო ძაკერონიმ პერსონალური დავალება მისცა კახი კალაძეს, ერთი წამითაც არ მოსცილებოდა ტურინელთა დირიჟორს. კალაძემ ეს დავალება ძალიან კარგად შეასრულა და 69-ე წუთზე, სანამ დაშავდებოდა და მინდორს დატოვებდა, ზიდანი არც კი ჩანდა. სხვა საკითხია, რომ „იუვენტუსს“ მაინც თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდა. უკვე მე-9 წუთზე ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა, რომელიც აშკარად მიეჩვია გოლების გატანას, გახსნა ანგარიში, 67-ე წუთზე კი ფილიპო ინძაგიმ მეორე გოლი გაიტანა. კალაძის შემცვლელი ჯენარო გატუზო უკვე პერსონალურად აღარ ეთამაშებოდა ზიდანს (ამას რაღა აზრი ჰქონდა!) და 90-ე წუთზე თვით „ზიზუმ“ გაიტანა მესამე გოლი — 3-0 — „მილანის“ დამამცირებელი დამარცხება! „ლაციომ“ იმ დღეს შინ სძლია „ვერონას“ საკმაოდ იშვიათი ანგარიშით — 5-3 (ერნან კრესპოს ჰეთ-თრიკი), „რომამ“ კი სტუმრად მოუგო 2-0 (მონტელა, ემერსონი) „ვიჩენცას“. ერთი სიტყვით, ამ ტურში ლიდერების მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ „რომას“ მდგომარეობა გარეგნულად საკმაოდ მტკიცეა, ლიდერი მაინც სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. „ვიჩენცასთან“ მატჩში მარჯვენა მუხლი დაიზიანა გაბრიელ ბატისტუტამ, რომელიც აქამდეც კარგად ვერ გრძნობდა თავს და თითქმის ავადმყოფი თამაშობდა. დასაწყისში ფიქრობდნენ, რომ გოლეადორმა მეტად სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ ეჭვები არ გამართლდა. როცა „ბატიგოლი“ რენტგენის კაბინეტს ტოვებდა, მას სახე უკვე აღარ ჩამოსტიროდა. ყოველ შემთხვევაში, ექიმებმა უთხრეს, რომ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებდა, რაც „რომასთვის“, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო დანაკლისია. კიდევ ერთი თავისტკივილი. ემერსონმა, რომელიც ახლა ჩინებულად




ნის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში დაშავდა ფრანჩესკო ტოტი და თუ ახლა მაინც ძლივძლივობით თამაშობს, გუნდისთვის, ცხადია, მცირე სარგებლობა თუ მოაქვს.

XXI ტურში სამივე ლიდერმა კვლავ გაიმარჯვა. „რომამ“ უმძაფრეს მატჩში საკუთარ მინდორზე „ინტერთან“ — 3-2, ამასთან, გადამწყვეტი გოლი ვინჩენცო მონტელამ თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გაიტანა. „იუვენტუსმა“ სტუმრად დაამარცხა 2-0



„მილანელი“ კახი კალაძე (უკანა პლანზე) „ფიორენტინასთან“ მატჩში

„უდინეზე“, რომელიც ყოველწლიურად კარგავს წამყვან მოთამაშეებს, მაგრამ არ კარგავს დიდ შეუპოვრობას. ძალიან გაუჭირდა ლაციოს ბრეშიაში, სადაც ადგილობრივი კლუბი სულაც არა ჰგავს აუტსაიდერს და რამდენიმე ჩინებული ოსტატიც ჰყავს. „ლაციომ“ ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა.

აი XXII ტურში კი, ლიდერთა ტრიუმვირატი, შესაძლოა საბოლოოდაც დუუმვირატად იქცა. „ლაციომ“ წააგო გასვლითი მატჩი „ბოლონიასთან“ — 0-2. „რომას“, თუმცა საკუთარ მინდორზე თამაშობდა, დიდად არ ულხინდა „ბრეშიასთან“, მაგრამ საბოლოოდ მაინც გასტეხა მეტოქის წინააღმდეგობა — 3-1, მას შემდეგ, რაც სტუმრებს მოთამაშე გაუძევეს. „იუვენტუსმა“ მცველ ტუდორის კიდევ ერთი გოლის წყალობით უძნელესი გამარჯვება — 1-0 მოიპოვა „რეჯინასთან“.

მაშ ასე, „რომას“ ახლა 54 ქულა აქვს, „იუვენტუსს“ — 48, „ლაციოს“ — 43. თუ „რომა“ და „იუვენტუსი“ გააგრძელებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას, „ლაციოს“ არ უნდა გაუჭირდეს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება.

აი, ვის დარჩება ლიგის კიდევ ერთი საგზური, ეს ალბათ, სულ ბოლო ტურებში თუ გაირკვევა. ახლა მეოთხე ადგილზეა „პარმა“ (36), რომელსაც ჰქონდა გარკვეული ჩავარდნა, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ამ საგზურისათვის ახლა ცხრა (!) კლუბი ირძვის. ესენია: „ატლანტა“ (33), „ინტერი“, „ბოლონია“ (31-31), მილანი, „პერუჯა“ (30-30), „ლეჩე“ (29), „ფიორენტინა“ და „უდინეზე“ (28-28). მათი ბრძოლა არა მარტო ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის საგზურებისთვის შეჯიბრებასაც დიდ სიმწვავეს აძლევს.

და ბოლოს, „სერია B“-ში გადასვლის საფრთხე ჯერჯერობით ექვს კლუბს ემუქრება. ესენია, უპირველეს ყოვლისა „ბარი“ (16), თუმცა წინა ტურში მან შეძლო „ფიორენტინას“ დამარცხება — 2-1, შემდეგ „რეჯინა“ (18), „ბრეშია“, „ვერონა“ და „ნაპოლი“ (21-21), რომელსაც ჯერჯერობით ვერ შველის ედმუნდო, და ბოლოს, „ვიჩენცა“ (23). ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ბოლომდე არ არის მოსალოდნელი არც ერთი უინტერესო მატჩი.

ახლა ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა სნაიპერთა ჯგუფში. 15 გოლი გაიტანა შევჩენკომ („მილანი“), მაგრამ ბოლო ტურებში ვეღარ ახერხებს თავისი მონაცემების გაუმჯობესებას. 14-14 გოლი გაიტანეს ბატისტუტამ („რომა“) და კრესპომ („ლაციო“), 13 კი, ჰიუბნერმა („ბრეშია“).

რას უნდა ველოდეთ უახლოეს ტურებში? მორიგი XXIII ტური 18 მარტს გაიმართება. რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრა საინტერესოა, მაგრამ ყურადღების ცენტრშია „ლაციოსა“ და „იუვენტუსის“ მატჩი. თუ რომაელებმა ეს შეხვედრა ვერ მოიგეს, მაშინ მათ თავიანთი წოდების შენარჩუნების თუნდაც მცირეოდენი შესაძლებლობები უკვე აღარ ექნებათ. ამ დღეს „რომა“ სტუმრად თამაშობს „რეჯინასთან“.

XXIV ტურში 1 აპრილს უმთავრეს ინტერესს, ცხადია, „მილანისა“ და „ლაციოს“ შეხვედრა იწვევს. „იუვენტუსი“ „ბრეშიას“ მიიღებს, ხოლო „რომა“ — „ვერონას“. XXV ტურში 8 აპრილს „რომა“ ითამაშებს ფლორენციაში „ფიორენტინასთან“, „ლაციო“ „პარმას“ მიიღებს, ხოლო „ვერონა“ შინ „იუვენტუსთან“ ითამაშებს.

ერთი სიტყვით, იტალიის ჩემპიონატში ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის.

**ბიჭი გამრეკელი**


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი

ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-6 გვ.)


## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რუმენიგე რეფორმებს თხოულობს

**ბევრი ითმინა თუ ცოტა, მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ პრესკონფერენცია მოიწვია და გერმანულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა გააკრიტიკა. „ჩვენ, ყველანი — ფეხბურთელებიც, კლუბების ხელმძღვანელებიც ბოლო დროს უფრო მეტს ვფიქრობთ ფულზე, ვიდრე თავად ფეხბურთზე. დროა ბოლო მოვუღოთ არსებულ ვითარებას, — განაცხადა რუმენიგემ. ვეტერანი ფეხბურთელი გამოდის იმის მოთხოვნით, რომ მკვეთრად შემცირდეს საერთაშორისო მატჩების რაოდენობა. „ფეხბურთმა წალეკა მსოფლიო. ხალხს ყელში ამოუვიდა ამდენი თამაშების ყურება“.**

**რუმენიგეს აზრით, რეფორმირებას საჭიროებს გერმანელი ბუნდესლიგაც, რომლის მატჩები პარასკევს, შაბათს და კვირას ტარდება: „უპრიანი იქნება ყველა შეხვედრა ერთ დღეში — შაბათს ჩავატაროთ“.**

### ძაკერონი მალდინიმ შეცვალა




ჩემპიონთა ლიგიდან „მილანის“ გათიშვამ კლუბის პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის მოთმინების ფიალა აავსო. დასრულდა თუ არა „მილანი“ — „დეპორტივოს“ მატჩი, როსონიერთა თავკაცმა მთავარი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი დაიბარა და განთავისუფლების ბრძანება აახლა. მეორე დღესვე ძაკერონის შემცვლელი გამოჩნდა — ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობი პაოლო მალდინი.

ახალი მწვრთნელი ენერგიულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ხუთშაბათს პირველი ვარჯიში ჩაატარა, მერე ფეხბურთელები სათითაოდ დაიბარა და დიდხანს ესაუბრა. ქართველი ლეგიონერის კახი კალაძისთვის სინიორი ჩეზარე სულაც არაა უცხო — სამი წლის წინათ სწორედ მალდინი წვრთნიდა „სკუადრა აძურას“, რომელმაც საქართველოსთან მატჩი თბილისში ფრედ დაასრულა.

### ბიშოვეცი: ჩვენთან არ არსებობს ფეხბურთის პროგრესის წინაპირობები

**ცნობილმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:**

**— თუ ორიოდე წლის წინათ მინდოდა რუსეთში მუშაობა, ახლა ეს სურვილი მთლიანად დამეკარგა. ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის პროგრესის წინაპირობები არ არსებობს. ბევრი კლუბი მაღალ მიზნებს კი ისახავს, მაგრამ მის გადასაწყვეტად სრულიადაც არ არის მზად. ასე რომ, შეიძლება ითქვას — რუსულ ფეხბურთზე ყოველგვარი იმედები გამიცრუვდა.**

**როგორც ბიშოვეცმა განაცხადა, მოკლე ხანში გადაწყვეტს, რომელ საზღვარგარეთულ კლუბში დაიწყებს მუშაობას.**

### საქართველო – ისევ 66-ე

Coca-Cola WORLD FIFA RANKING

ფიფა კოკა-კოლას რეიტინგით საქართველოს ეროვნული ნაკრები რახანია 66-ეა, ეს მაჩვენებელი არც 14 მარტს გამოქვეყნებულ ბოლო სიაში შეცვლილა.

რეიტინგის სათავეში კვლავ ბრაზილიაა — 814 ქულა, მეორეა საფრანგეთი — 997, მესამე — არგენტინა — 771.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მაჩვენებელი: 19. რუსეთი — 739 ქულა, 38. უკრაინა — 584, 69. ესტონეთი — 502, 72. უზბეკეთი — 488, 89. ლიტვა — 453, 91. ლატვია — 449, 93. სომხეთი — 440, 97. მოლდოვა — 427, 99. ბელორუსია — 423, 117. აზერბაიჯანი — 346, 122. ყაზახეთი — 321, 138. ტაჯიკეთი — 279, 161. ყირგიზეთი — 188.

# ანკეტა

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:**

1. საუკეთესო ფეხბურთელი ________________
2. საუკეთესო მეკარე ________________
3. საუკეთესო მცველი ________________
4. საუკეთესო ნახევარმცველი ________________
5. საუკეთესო თავდამსხმელი ________________
6. საუკეთესო მწვრთნელი ________________
7. საუკეთესო მსაჯი ________________
8. საუკეთესო გუნდი ________________
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ________________

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge – ვებ გვერდი. gff access. sanet.ge - E-mail

## დიდად ნიჭიერი აიმარი

**სულ მცირე ხნის წინათ „ვალენსიაში" თამაში დაიწყო არგენტინელმა ნახევარმცველმა პაბლო აიმარმა. ბევრი მიმომხილველი ამ ახალგაზრდა მოთამაშეს „მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს" უწოდებს. მისი გადაბირება კარგა ხანია სურდათ „მილანსა" და „ბარსელონას", რომლებიც აიმარის კლუბ „რივერ პლეიტს" დიდ თანხებს სთავაზობდნენ. საინტერესოა, რომ თვით აიმარი სულაც არ აპირებდა არგენტინის დატოვებას:**

**— როცა „რივერ პლეიტის" შემადგენლობაში არგენტინის ჩემპიონი გავხდი, შემდეგ ვაპირებდი ამავე გუნდის შემადგენლობაში „კოპა ლიბერტადორესისა" და საკონტინენტთაშორისო თასის მოგებას. მაგრამ „ვალენსიამ" ისეთი წინადადებებით მოგვმართა, რომელთა უარყოფა არ შეიძლებოდა. ახლა, ესპანეთში ვთამაშობ და მეტი შესაძლებლობა მეძლევა ალიარებას და პოპულარობას მივაღწიო, ზუსტად ისე, როგორც გააკეთა იტალიაში ჩემმა საფეხბურთო კერპმა ენცო ფრანჩესკოლიმ.**

**ჩემპიონთა ლიგა, სადაც „ვალენსია" განაგრძობს მონაწილეობას, ცხადია, ახალგაზრდა არგენტინელისათვის თავის გამოჩენის საუკეთესო საშუალებაა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## რუი კოშტა: როდემდე უნდა ვიყო „ფიორენტინაში"?

ცნობილმა პორტუგალიელმა ოსტატმა რუი კოშტამ განაცხადა, რომ, როგორც კი დამთავრდება ეს სეზონი, იგი დაუყოვნებლივ დატოვებს „ფიორენტინას". კოშტა ამ კლუბში 1994 წლიდან გამოდის, ახლა ჩინებულად თამაშობს, მაგრამ კლუბისათვის რაიმე პერსპექტივას ვერ ხედავს.

— წლები გარბის, მაგრამ ჩვენთან სიტუაცია არ იცვლება, არავითარი წინსვლა არ გვაქვს, ისე რომ, სხვა კლუბი უნდა მოვძებნო.

რომელი?

## უკრაინის ლიგა არ გაიზრდება

**უკრაინის პროფესიულმა ლიგამ წამოაყენა წინადადება ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილე კლუბების რაოდენობის 14-დან 16-მდე გაზრდის შესახებ. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ხმების დიდი უმრავლესობით უარჰყო ეს წინადადება. ლიგაში კვლავ 14 კლუბი ითამაშებს.**

## „ვინ იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი?

ასეთი კითხვით მიმართა კორესპონდენტმა მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევს, 10 მარტს, რუსეთის ჩემპიონატის დაწყების დღეს.

— ყველა 16 კლუბს თავდაპირველად თანაბარი შესაძლებლობები აქვს. 5-6 ტურის შემდეგ კი, ზუსტად გეტყვით, ვინ იქნება ჩვენი მთავარი კონკურენტი. ისე, „სპარტაკს" ყველა შესაძლებლობა აქვს მხოლოდ პირველი ადგილისათვის იზრუნოს.

## „პელე, რა თქმა უნდა, შეცდა"

**ამას წინათ რუსეთის ნაკრებს დაუბრუნდა ცენტრალური მცველი იური ნიკიფოროვი, რომელიც ახლა „პსვ ეინდჰოვენში" თამაშობს. ოდესღაც იგი თავდამსხმელი იყო და სწორედ ამ ამპლუაში მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატში 16-წლიან ჭაბუკებს შორის. მაშინ პელემ მას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელი უწოდა — ეს დიდი ხნის წინათ იყო. პელე, რა თქმა უნდა, შეცდა — ამბობს ახლა ნიკიფოროვი.**

## ვან ნისტელროოი დაბრუნდა

ცნობილმა ჰოლანდიელმა სნაიპერმა რუდ ვან ნისტელროოიმ მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით ერთი წელი გააცდინა. ადრე ერთ მატჩში საშუალოდ ერთ გოლზე მეტი გაჰქონდა, ამიტომ ნისტელროოის დაბრუნებას დიდი სიხარულით შეხვდა „პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელი ერიკ გერეტსი.

## პალესტინელების დებიუტი

**პალესტინის ნაკრები ფეხბურთის ისტორიაში პირველად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში. აქამდე იგი მხოლოდ ლოკალურ შეჯიბრებებში თამაშობდა 1999 წლის პანარაბულ თამაშებში.**

**პალესტინელთა შესარჩევ ჯგუფში გამოდის აგრეთვე ჰონკონგის, კატარისა და მალაიზიის ნაკრებები.**

# რომ არა გარინჩა

## ანუ გარინჩა, მესხი... და პანი იოზეფ მასოპუსტი

იგი არ ყოფილა „ოქროს ბურთის" ან „ოქროს ბუცის" მფლობელი, არც ფიფას ნაკრებში უთამაშია, არც სამყაროს იდეალურ ნაკრებში შეუყვანიათ და არც თანამემამულეთაგან ყოფილა განებივრებული... მიუხედავად ამ და სხვა „ნაკლოვანებისა", მას ყველა დროის უძლიერეს მარცხენა გარემარბად მიიჩნევდა საფეხბურთო სამყარო. ზემოაღნიშნულის ნათელ დადასტურებად შესაძლოა მივიჩნიოთ ჩეხური ფეხბურთის ლეგენდის იოზეფ მასოპუსტის აზრი — წერილის სათაურში მოყვანილ ორ უძლიერეს ფორვარდზე გარინჩაზე და მესხზე, რომელიც ამ სამი ათეული წლის წინათ მოვისმინე პანი იოზეფ მასოპუსტისაგან პრაღის ბრენოვის რაიონის კლინიკის ტრავმატოლოგიური განყოფილების მოსაცდელში — მასთან შემთხვევით შეხვედრაზე. პრაღის ცნობილ მოხუც ქირურგთან (ტრავმატოლოგთან) მიღების მოლოდინში ათიოდე პაციენტს მოეყარა თავი, როცა მოულოდნელად კარი შემოაღო არაევროპული გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლის დანახვაზე ყველა ფეხზე წამოდგა და, რა თქმა უნდა, ინსტინქტურად მეც... მოსულმა „დობრი დენ" უსურვა დამხვდურთ და თავისუფალ სავარძელში მოკალათდა... „პანი მასოპუსტ" გავიგონე ჩურჩული მომლოდინეთა შორის... მე, როგორც ფეხბურთის მოყვარული, უმალ მივხვდი, რომ იგი ლეგენდარული ჩეხი ფეხბურთელი იოზეფ მასოპუსტი იყო, თანაც [illegible] მყავდა ნანახი ტელევიზიით თუ ფოტოსურათებზე... არც ვაცივე, არც ვაცხელე, წამოვდექი, მივესალმე და ვუთხარი, რომ მე ქართველი ვარ — სტალინის სამშობლოდან... მან გაკვირვებით შემომხედა და მცირედი დუმილის შემდეგ მომიგო: ეს ის მხარეა არა, საიდანაც მესხია?.. დიახ, მივუგე და მის გვერდით თავისუფალ სავარძელში მოვკალათდი. ერთი ფეხი მას გამართული ჰქონდა და დასძინა, რომ ტრავმა, რომელიც საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრაში ამ ორიოდე წლის წინათ მიიღო, ვერა და ვერ მოიშუშა... შემდეგ — დასტაქართან მიღების მოლოდინში ჩვენი საუბარიც შეძლებისდაგვარად წარიმართა... შეკითხვები, ცხადია, არ იყო ინტერვიუს ხასიათის. რაკი მან მესხი ახსენა, ვკითხე რა აზრისა იყო ამ ფეხბურთელზე (მანამდე შევთანხმდით რუსულ ენაზე გვესაუბრა), „მე გერმანული ენა რუსულზე უკეთ ვიცი, რადგან წარმოშობით პრაღელი არ ვარ. გერმანიის საზღვართან დასახლებული პუნქტიდან ვარო", — მითხრა იოზეფმა. მესხი? — წარმოვთქვი თუ არა, თვალები გაუბრწყინდა, ხელში ჩეხური ჟურნალი „გოლი" მეჭირა, გამომართვა, ავტოკალამი მოიმარჯვა, სფერო შემოხაზა და აღნიშნა, — დასავლეთ ნახევარსფეროში გარინჩაა, აღმოსავლეთ ნახევარსფეროში — მესხი... პანი ალფრედო კი ორთავეზეა, დედამიწა რომ არ გადააბრუნონ, წარმოთქვა იუმორით. „პანი ალფრედო" — უმალ მივხვდი, დი სტეფანოს გულისხმობდა... ახლა დი სტეფანოზე ვკითხე. დი სტეფანო ჩემი იდეალია ფეხბურთში. ბავშვობაში, მერე კი ქალაქ ტეპლიცეს გუნდში თამაშის დროს ყოველნაირად ვბაძავდი მას, განსაკუთრებით, ტექნიკაში. ამ გუნდიდან გამიწვიეს არმიაში და ასე აღმოვჩნდი პრაღის „დუკლაში"... თუ ვის მიიჩნევს უძლიერეს ფეხბურთელებად მსოფლიოში, იოზეფ მასოპუსტმა ჩამოთვალა — უპირველესად გარინჩა და დი სტეფანო, შემდეგ მესხი... მეკარე იაშინი, დაცვაში — ხურცილავა, რომელიც ნამდვილი „საბჭოთა ტანკია", მომიგო... შემდგომ საუბრის გაგრძელებისას.




ისევ მესხის თემას დავუბრუნდით...

— ყველას, ლონდონში შეკრებილთ, ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩის დროს, დიდად დაგვწყვიტა გული იმან, რომ მესხთან არ მოგვიწია თამაში. ლონდონის გარეუბანში საწვრთნელ ბაზაზე მოწვეული თითქმის ყველა ფეხბურთელი ერთიდაიგივეს კითხულობდა — რატომ არ ჩამოვიდა მესხი? მატჩის წინ პანი ფერნანდომ (იგულისხმება ფიფას ნაკრების მწვრთნელი ჩილელი სპეციალისტი ფერნანდო რიერა) გამოაცხადა, რომ მესხი ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა (მათ, ცხადია, არაფერი იცოდნენ საბჭოური ფეხბურთის მოძღვართა მაქინაციებზე — საუკუნის მატჩის მიღმა დაეტოვებინათ ფეხბურთის ჭეშმარიტი ლეგენდა). არანაკლებ გულდასაწყვეტია, რომ გარინჩაც ვერ ჩამოვიდა — დასძინა მასოპუსტმა... ახლა გარინჩაზე ვკითხე... თუ რა აზრისაა იგი ტყავის ბურთის ამ ბრაზილიელ ჯადოქარზე...

— გარინჩას ნეიტრალიზებას, — განაგრძო პანი იოზეფმა, — ჩვეულებრივ სამ ფეხბურთელს ავალებენ... პირველის მოვალეობაა ბურთის მიღებაში შეუშალოს ხელი, მაგრამ იგი ამას მაინც ახერხებს, მეორეს ჩვეულებისამებრ იოლად ატყუებს და მესამე ფეხბურთელს ისღა რჩება მოვალეობად, მეკარეს დაეხმაროს ბურთის კარიდან გამოტანაში. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ 1962 წელს ნახევარფინალური მატჩი ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ბრაზილიელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს მასპინძლები 4-2 და ამ მატჩში ორი ბურთი ზემოაღნიშნული სტილით გარინჩამ გაიტანა და ორიც ვავას გაატანინა. დიდი როლი შეასრულა ჩვენს მარცხში ფინალურ მატჩში ბრა-




ზილიელებთან შემდეგმა გარემოებამ. როგორც კი ანგარიში 1-0 მიგვყავდა, გოლის ავტორი მე გახლდით, ჩვენმა გუნდმა შეცვალა თამაშის ტაქტიკა, რაც იმაში გამოიხატა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია გარინჩასთვის. ჩვენ მხოლოდ ისღა შევძელით, გარინჩას ბურთი არ გავატანინეთ. სამაგიეროდ, ამარილდომ, ზიტომ და ვავამ ეს შეძლეს, რადგან მეტი თავისუფლება მიეცათ მთელ მოედანზე. ჩვენი საუბარი თითქმის საათნახევარს გაგრძელდა და მორიგი ჩემი შეკითხვა ასეთი გახლდათ — რა აზრისაა იგი საბჭოთა ფეხბურთზე? — პასუხი მოკლე იყო, მას საბჭოთა არაყი და ჰოკეი უფრო მოსწონს, ვიდრე საბჭოთა ფეხბურთი, მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანებში ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ფინალში მათ სწორედ საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხეს.

როცა ვკითხე — გარინჩას და მესხის გარდა, მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალისტ ფეხბურთელებად ვინ მიაჩნია, მასოპუსტმა დასძინა, რომ ამარო ამანსიო — მადრიდის „რეალიდან" და შვედი კურტ ჰამრინი. ვინც ამას წინათ ჩვენი პრაღის „სპარტას" თამაში ევროპის ჩემპიონთა თასზე მადრიდის „რეალთან" ნახა, ალბათ დამეთანხმება ამ აზრის სისწორეში. როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და ნულოვანი ფრეთი უნდა დამთავრებულიყო... თავი ამანსიომ გამოიჩინა. მან მოახერხა მატჩის სადავეების ხელში აღება და 7 წუთის განმავლობაში სამი გოლი გაუტანა „სპარტას" და მატჩის ბედიც, როგორც ჩანს, მადრიდის მატჩში გადაწყდა. თუ რას ელის საპასუხო მატჩიდან პრაღაში, მასოპუსტმა მიპასუხა: ხედავთ, რომ გარეთ ჩვენთან ჯერ კიდევ თოვლია, „სპარტა" და, საერთოდ, ჩეხური გუნდები ფორმაში არ არიან, არ გააჩნიათ სათამაშო პრაქტიკა, ამას გარდა, „სპარტამ" მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე მერვე ადგილით დაასრულა, რაც აშკარად არადამაკმაყოფილებელია ჩემპიონისთვის, მით უმეტეს, როცა მის რიგებში ჩემი მეგობრები ნაკრებიდან — კვაშნიაკი, პოსპიხალი, მაშეკი თამაშობენ... ისიც ვკითხე, თუ რა იყო ყველაზე ღირსსახსოვარი მის საფეხბურთო კარიერაში, ჩეხური ფეხბურთის ლეგენდამ თქვა: რა თქმა უნდა, ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალური მატჩი ბრაზილიელებთან, 1962 წლის 17 ივნისს, სანტიაგოში, გოლი, რომელიც ბრაზილიელთა მეკარე ჟილმარს გავუტანე პირველ ტაიმში და რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩეხოსლოვაკია მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საჯარიმო მოედნის ფარგლებში პოსპიხალის მიერ ჩამოწოდებულ ბურთს დავასწარი, ორი ბრაზილიელი მცველის მოტყუებაც კარგად გამომივიდა, დიდი სიჩქარით კარში დავარტყი და მიწაზე გავიშხლართე! ჩვენი მცირერიცხოვანი ტურისტების და ემიგრანტების შეძახილზე მივხვდი, რომ გოლი გავიდა, როცა წამოვდექი და კარისკენ გავიხედე, ჟილმარს უკვე ბურთი გამოჰქონდა კარიდან... რომ არა გარინჩა, ეჭვი არ მეპარება, 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი ჩეხოსლოვაკია გახდებოდა... დასძინა საუბრის დასასრულ პანი იოზეფ მასოპუსტმა.

**დემურ ტორაძე,**
პრაღა. 1968 წლის მარტი.

**P.S. ამ წერილს შემთხვევით წავაწყდი პირად არქივში, რომლის თავის დროზე გამოქვეყნება მასში მოყვანილ რიგ პრობლემატურ მიზეზთა გამო არ მოხერხდა. ვფიქრობ, დღევანდელი გადასახედიდან მას არ დაუკარგავს აქტუალობა, ფეხბურთის მოყვარულთა გაოცება შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ არსად ფიგურირებს პელე. საქმე ისაა, რომ 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე პელე პირველსავე მატჩში დაშავდა და გამოეთიშა ასპარეზობას, ხოლო რაც შეეხება ინგლისის 1966 წლის ჩემპიონატს, პელეზე „ნადირობა" იყო გამოცხადებული და იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ასე რომ, იმ ხანებში „ფეხბურთის მეფის" გვირგვინს**



*ევროპის 1962 წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მფლობელს იოზეფ მასოპუსტს (მარცხნივ) ჯილდოს ულოცავს სახელგანთქმული ეუსებიო*

**გარინჩა ატარებდა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ჩეხური გაზეთები გარინჩაზე მიძღვნილი მასალის სათაურს წითელი შრიფტით აქვეყნებდნენ. პელემ რეიტინგი მექსიკის 1970 წლის ჩემპიონატზე აღიდგინა, როდესაც ბრაზილია მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, პელე კი მეორედ შეიყვანეს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში.**

**რაც შეეხება იმ ხანებში მიხეილ მესხის რეიტინგს, მისმა პოპულარობამ ზენიტს მიაღწია!!. ამის ნათელი დასტური იყო ჩეხურ ყოველკვირეულ „კოპანას" მიერ გამოცხადებული რეფერენდუმი, რომლის შედეგებით მესხმა თითქმის ერთი ორად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მადრიდის „რეალის" მარცხენა გარემარბ ფრანსისკო ჰექტორ ჰენტოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა: ვარსკვლავებმა „საკრამენტო" დაადალაგეს

NBA

ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში გუშინ 9 მატჩი გაიმართა. მაიამიში „საკრამენტოს" ხუთმატჩიან წარმატებულ სერიას ბოლო მოეღო. და ეს არც იყო გასაკვირი: „მეფეების" შემადგენლობაში ამჯერად არ იყვნენ დისკვალიფიცირებული ვარსკვლავები — ჯექსონი, დივაცი, პოლარდი, ლონგი („ორლანდოსთან" მატჩის მიწურულს ჩხუბისათვის მოკვეთეს). ცხადია, „მაიამის" გამარჯვება არ გასჭირვებია 114:104.

**სხვა მატჩები:** კლივლენდი — ორლანდო 87:97, ვაშინგტონი — დეტროიტი 103:96, შარლოტი — ვანკუვერი 100:95, სან-ანტონიო — მინესოტა 106:100 (ოტ), ჩიკაგო — ფილადელფია 67:85, დენვერი — ინდიანა 95:83, პორტლენდი — ფინიქსი, 79:84, გოლდენ სტეიტი — იუტა 83:102.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის კონფერენცია

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 48 | 16 | 75,0 |
| ნიუ-იორკი | 38 | 26 | 59,4 |
| მაიამი | 39 | 27 | 59,1 |
| ორლანდო | 35 | 29 | 54,7 |
| ბოსტონი | 27 | 37 | 42,2 |
| ნიუ-ჯერსი | 22 | 44 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 16 | 48 | 25,0 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 39 | 24 | 61,9 |
| შარლოტი | 38 | 27 | 58,5 |
| ტორონტო | 35 | 30 | 53,8 |
| ინდიანა | 27 | 36 | 42,9 |
| დეტროიტი | 24 | 40 | 37,5 |
| კლივლენდი | 23 | 41 | 35,9 |
| ატლანტა | 20 | 45 | 30,8 |
| ჩიკაგო | 11 | 52 | 17,5 |

### დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 45 | 19 | 70,3 |
| იუტა | 44 | 19 | 69,8 |
| დალასი | 42 | 23 | 64,1 |
| მინესოტა | 38 | 27 | 58,5 |
| ჰიუსტონი | 36 | 29 | 55,4 |
| დენვერი | 32 | 34 | 48,5 |
| ვანკუვერი | 20 | 46 | 30,3 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 43 | 20 | 68,3 |
| ლეიკერსი | 42 | 21 | 66,7 |
| პორტლენდი | 42 | 23 | 64,6 |
| ფინიქსი | 38 | 25 | 60,3 |
| სიეტლი | 33 | 33 | 50,0 |
| კლიპერსი | 22 | 44 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 49 | 24,6 |




პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „Sports illustrated" სენსაციური ცნობა გაავრცელა: ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსის" მეპატრონეებმა კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს სახელგანთქმულ ვეტერანს... მაიკლ ჯორდანს, რომლისგანაც თანხმობა მიიღეს. იტყობინებიან, რომ ჯორდანი ამჟამად ყოველ დღე 6 საათს ვარჯიშობს, რათა დაიბრუნოს უწინდელი სპორტული ფორმა.

## ო'ნილისათვის სიმართლე უფრო მეტია, ვიდრე ფული

ამას წინათ, „სიეტლთან" მატჩში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ბომბარდირი შაკილ ო'ნილი მსაჯების შეურაცხყოფისათვის 5 ათასი დოლარით დააჯარიმეს. ამ სასჯელმა კალათბურთელზე სულაც არ იმოქმედა: „ფული ეს არარაობაა, სულაც არ მენანება დოლარები. მთავარია, მსაჯებმა მოისმინეს ის „შეფასება", რომელსაც იმსახურებდნენ. მართლაც, რა არის სულ რაღაც ხუთი ათასი ადამიანისთვის, რომელიც მოქმედი კონტრაქტით 152 მილიონ დოლარს მიიღებს!


შაკილ ო'ნილი

### ველოსპორტი

## ცულემ მეოთხე ეტაპი მოიგო

შვეიცარიელმა სპორტსმენმა ალექს ცულემ გუშინ მოიგო ტრადიციული ველორბოლის „პარიზი — ნიცას" მეოთხე ეტაპი, რომლის დისტანცია 195,6 კილომეტრს უდრიდა.

### კრივი

● **ევანდერ ჰოლიფილდთან** გამარჯვებული ლათინო-ამერიკული წარმოშობის პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე ჯონ რუისი (სურათზე) გუშინ თეთრ სახლში მიიღო აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.



### მძლეოსნობა

## კუბელი და ესპანელი მძლეოსნების უპირატესობით

მსოფლიოს უძლიერესი მძლეოსნები ამ დღეებში ესპანეთის დედაქალაქში შეიყარნენ. „მადრიდის თასის" ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კუბელმა და ესპანელმა სპორტსმენებმა.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას. ვაჟები. 60 მ: ფრედი მაიოლა (კუბა) — 6,55; 60 მ. თარჯრბენი: ანიერ გარსია (კუბა) — 7,56; 1000 მ: რობერტო პარა (ესპანეთი) — 2.21,56; ბირთვი: მანუელ მარტინესი (ესპანეთი) — 20,91; სიგრძეზე ხტომა: ივან პედროსო (კუბა) — 8,32. ქალები. 60 მ: მერლინ ოტი (იამაიკა) — 7,12; 60 მ თარჯრბენი: გლორი ალოზი (ნიგერია) — 7,88; 1000 მ: ნურია ფერნანდესი (ესპანეთი) — 2,42,31; სამხტომი: ტატიანა ლებედევა (რუსეთი) — 14,85; ჭოკი: სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) — 4,61.

## მაიკლ ჯონსონი სპორტიდან მიდის

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ცხრაგზის მსოფლიო ჩემპიონი, სახელგანთქმული მორბენალი მაიკლ ჯონსონი სულ უფრო იშვიათად გამოდის შეჯიბრებებში, ამ დღეებში კი სულაც განაცხადა, რომ ეს სეზონი მის კარიერაში უკანასკნელი იქნება. ჯონსონის განმარტებით, იგი თავის გადაწყვეტილებას განახორციელებს კეთილი ნების თამაშების შემდეგ, რომელიც გაიმართება აგვისტოში ავსტრალიის ქალაქ ბრისბეინში. 33 წლის ვეტერანი სპორტსმენი აპირებს ძალები ბიზნესში სცადოს.

## კეტი ფრიმენი ტაიმ-აუტს აიღებს

400 მეტრზე რბენაში შარშანდელი ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრალიელი ქალი კეტი ფრიმენი მიმდინარე სეზონში ყველა შეჯიბრებას გამოტოვებს. ამის შესახებ განცხადება მან გუშინ გააკეთა: „ძლიერ გადავიღალე და წელს ტაიმ-აუტს ავიღებ. არც კანადის ქალაქ ედმონტონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში გამოვალ. სამაგიეროდ, გაისად გაორმაგებული ძალებით ვიასპარეზებ."


კეტი ფრიმენი

### ფორმულა-1

## შუმახერმა ფრენტცენს დემაგოგი უწოდა

ფორმულა 1-ის პილოტმა ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენმა „ავსტრალიის" გრან-პრიში" მიხაელ შუმახერის წარმატების შემდეგ ბრალი დასდო გერმანელ მრბოლს და მის გუნდ „ფერარის", რომ ბოლიდები აკრძალული ელექტრონიკით აქვთ აღჭურვილი.

გუშინ შუმახერმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც ფრენტცენს დემაგოგი უწოდა: „სჯობს თავისი სიძლიერე ბრძოლაში დაამტკიცოს და არა პასკვილების გამოგონებით".

ავტომოყვარულებს შევახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონის მეორე ეტაპი ამ კვირას მალაიზიაში გაიმართება. სინოპტიკოსები „სეპაგანის" სტადიონის თავზე წვიმიან ამინდს ვარაუდობენ.

## ექიმები „მალაიზიის გრან-პრისთვის" ემზადებიან



იმასთან დაკავშირებით, რომ ფორმულა-1-ის წინა ეტაპზე, მელბურნში მეტად დრამატული მოვლენები განვითარდა, ამჯერად რბოლას ექიმთა გაძლიერებული რაზმი მოემსახურება, კერძოდ, მალაიზიის სამეფო შეიარაღებული ძალების სპეციალისტები (სულ 300 ადამიანი).

*სურათზე: მიხაელ შუმახერი*

## 2000 წლის ლაურეატები დაასაჩუქრეს

ლონდონში პატივი მიაგეს შარშანდელ სეზონში თავგამოჩენილ ქალ ჩოგბურთელებს. როგორც მოსალოდნელი იყო რჩეულ ჩოგბურთელად აღიარებულია ამერიკელი ვინუს უილიამსი, რომელმაც მოიგო უიმბლდონის, აშშ ღია ჩემპიონატის და ოლიმპიური თამაშების უმნიშვნელოვანესი ტურნირები. გარდა ამისა, ვინუს და სერენა უილიამსებს გადაეცათ საუკეთესო წყვილის პრიზი.

საგანგებო ჯილდო – „პროგრესის პრიზი" მოიპოვა 19 წლის რუსმა ჩოგბურთელმა ელენა დემენტიევამ, რომელმაც შარშან ოლიმპიური თამაშების ფინალამდე მიაღწია.

ტიტული „წლის დაბრუნება" მიაკუთვნეს ხორვატ ივა მაიოლის. მან 1997 წელს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ ხელის ტრავმის მიზეზით ორი სეზონი გამოტოვა.

„წლის ახალბედა" გახდა ჩეხი დაია ბედანოვა, სიმპათიის პრიზი კი გადაეცა წარმტაც ბელგიელ ჩოგბურთელს კიმ კლისტერსს. ყველა თავგამოჩენილ ჩოგბურთელს დიდებული საჩუქრები გადაეცათ.



*სურათზე: ვინუს უილიამსი*

### ფეხბურთი

## ბრაზილიური დესანტი ჩემპიონთა ლიგაში

მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ იმ დიდ როლს, რომელსაც ბრაზილიელი ფეხბურთელები ასრულებენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგაში. ამის დასამტკიცებლად მხოლოდ ამ მოთამაშეების ჩამოთვლაც კმარა.

სტამბოლის ***„გალათასარაი":*** მეკარე ტაფარელი, მცველი კაპონე, თავდამსხმელები მარსიო და ჟარდელი: ***„მილანი":*** მეკარე დიდა, მცველი როკე ჟუნიორი, ნახევარმცველები ლეონარდო და სერჟინიო. ***„დეპორტივო":*** მცველი მაურო სილვა, ნახევარმცველები ჯალმინია, ემერსონი, სეზარ სამპაიო და დონატო. ***„პარი სენ-ჟერმენი":*** თავდამსხმელი კრისტიანი. მიუნხენის ***„ბაიერნი":*** ნახევარმცველი პაულო სერჟინიო, თავდამსხმელი ჯოვანო ელბერი. მოსკოვის ***„სპარტაკი":*** მცველი ალეშანდრე ლოპესი, თავდამსხმელები მარკაო და რობსონი. ლონდონის ***„არსენალი":*** მცველი სილვინიო, თავდამსხმელი ედუ. ***„ლიონი":*** მცველი ედმილსონი, თავდამსხმელები ანდერსონი და კასაპა. მადრიდის ***„რეალი:"*** მცველი რობერტო კარლოსი, თავდამსხმელი სავიო.

## ამბიციები არ აკლია

**როგორც ლევერკუზენის „ბაიერისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, მომავალი სეზონიდან სურს დატოვოს თავისი კლუბი და გადავიდეს მიუნხენის „ბაიერნში".**

**მართალია, ბალაკის კონტრაქტი „ასპირინის კლუბთან" („ბაიერი" ხომ მსხვილი ფარმაცევტული გაერთიანების გუნდია) მხოლოდ 2005 წელს უმთავრდება, მაგრამ ამაში ფეხბურთელი რაიმე პრობლემას ვერ ხედავს — ხომ შეიძლება მისი დარღვევა. „მინდა უფრო ძლიერ კლუბში ვცადო ძალები".**

## ონოპკოს უარი უთხრეს

ესპანურ პროვინცია ასტურიის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რუსი ფეხბურთელის ვიქტორ ონოპკოს თხოვნა მისთვის ევროკავშირის მოთამაშის უფლებების მოცემის შესახებ (ე.ი. ლეგიონერად არ აღიარების, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქე არ არის).

სასამართლომ ეს იმით ახსნა, რომ თხოვნა დიდი დაგვიანებით მიიღო. ფეხბურთელს ჯერ კიდევ შარშანდელ აგვისტოში უნდა მიემართა. აი, მაგალითად, კიდევ ერთი რუსი ფეხბურთელი ვალერი კარპინი ადრე გაისარჯა და ახლა ლეგიონერად აღარ ითვლება.

# ანანდი: „ჭადრაკი დაძაბული და მიმზიდველი უნდა იყოს!“




ვიშვანათან ანანდი არასოდეს გაურბოდა ჟურნალისტებს, მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ კი პირდაპირ ვეღარ აუდის ელექტრონული თუ „ჩვეულებრივი“ პრესის წარმომადგენლების შემოსევას. აი რამდენიმე ნაწყვეტი მისი ბოლო ინტერვიუდან.

● *თქვენი საჭადრაკო ამბიციები დაკმაყოფილებულია?*

— ვერ ვიტყოდი, რომ არავითარი საჭადრაკო ამბიცია აღარა მაქვს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ნათელ მიზანს ვისახავდი, რომელსაც მივაღწიე კიდეც. თითქოს ამოცანა აღარცა მაქვს, მაგრამ ახალი სტიმული გამოჩნდება, და საკმაოდ იოლადაც. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნება, რეიტინგის გაუმჯობესება, თამაშის ხარისხის ამაღლება. ისე კი, 2000 წელს საუკეთესო შედეგები მქონდა. მოვიგე ზედიზედ ექვსი შეჯიბრება: ლეონში (ესპანეთი), მაინის ფრანკფურტში (გერმანია), დორტმუნდში (გერმანია), შენიანში (ჩინეთი, მსოფლიოს თასი), კორსიკასა (საფრანგეთი) და თეირანში (ირანი, მსოფლიო ჩემპიონატი). რაც მთავარია, თამაში ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

● *მსოფლიო ჩემპიონის წოდება რაიმე განსაკუთრებულ შეგრძნებებს გაძლევთ?*

— ჯერ ისეთი არაფერი მიგრძვნია. მთელი 13 წლის განმავლობაში, უბრალოდ, „დიდოსტატს“ მიწოდებდნენ. ახლა ახალ წოდებას უნდა შევეჩვიო.

● *სამჯერ იბრძოდით მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის. რა უფრო მოგწონთ — ადრინდელი პრეტენდენტების მატჩები თუ ახლანდელი ნოკაუტ-სისტემა?*

— ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ძველი სისტემის აღდგენა, როცა 1993 წელს ფიდეს რიგები დაირღვა, პრეტენდენტების მატჩებიც ისტორიას ჩაბარდა სამუდამოდ. ნოკაუტ-სისტემას უდავოდ აქვს აზრი იმ შემთხვევაში, თუ აპირებენ მსოფლიო პირველობის ყოველწლიურად ჩატარებას. დიახ, ამ სისტემას რამდენადმე სრულყოფაც სჭირდება. პრეტენდენტების მატჩები თავის დროზე ურიგო არ იყო, მაგრამ ჩვენს დროში ინტერესს არ გამოიწვევს. ნოკაუტ-სისტემა კი ჭადრაკის შემდგომ განვითარებას ემსახურება.

● *ესპანელი დიდოსტატი პაბლო სან სეგუნდო თქვენი ახალი სეკუნდანტია?*

— ადრე მეხმარებოდა მხოლოდ უბი (დიდოსტატი ელიზბარ უბილავა — რედ.) ჩემმა ცოლმა არუნამ ინიციატივა გამოიჩინა და სან სეგუნდო მოიწვია.

● *როგორ ინარჩუნებთ სპორტულ მზადყოფნას?*

— დავდივარ ტანვარჯიშის დარბაზში, 40 წუთს ველოტრენაჟერს ვანდომებ. ნახევარ საათს კი სიმძიმეების აწევას. ამას უკვე მუდმივად ვაკეთებ წელიწადნახევრის განმავლობაში.

● *თითოეულ მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში საკუთარი სიახლე მოაქვს. თქვენი სიახლე როგორია? ძალიან სწრაფი თამაში?*

— ეს, დეე, გულშემატკივრებმა გადაწყვიტონ. მე თავს არც ტალს ვადარებ და არც ფიშერს. ეს შეუძლებელიც არის. ისინი ხომ ისტორიული ფიგურები იყვნენ.

● *ადრე ნოკაუტ-სისტემას ლატარიას ადარებდით. დიახ, მაგრამ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე სამმა განთესილმა ნახევარფინალამდე მიაღწია.*

— სიტყვა ლატარიას პირდაპირი მნიშვნელობით როდი ვხმარობდი. უბრალოდ, ამ სისტემისას ყველაფერს კონტროლს ვერ გაუწევ, არის ბევრი რამ გაუთვალისწინებელიც. ამასთან, თუ თქვენ ამ სისტემით მუდმივად თამაშობთ. სიტუაცია ნამდვილად გაუმჯობესდება. სპორტი დაძაბული და მიმზიდველი უნდა იყოს.

● *მიგაჩნიათ, რომ პრეზიდენტმა ილიუმჟინოვმა სწორად აირჩია მსოფლიო პირველობის ჩასატარებლად ინდოეთი?*

— ვფიქრობ, ფიდემ ხელი უნდა შეუწყოს ჭადრაკის განვითარებას როგორც ინდოეთში, ისე ჩინეთში. აზიაში ჭადრაკისადმი დიდ ინტერესს იჩენენ. ამ მხრივ მოქმედების დრო დადგა. აქამდე ფიდე ყველა შეჯიბრებას ევროპაში ატარებდა. ის, რომ ახლა ინდოეთის რიგიც დადგა, ეს ჩვენი დიდი წარმატებაა. მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი დელიში ყოველმხრივ უკეთესი იყო, ვიდრე პირველი (გრონინგენში) ან მეორე (ლას-ვეგასში). მას უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა.

● *მადრიდის გარეუბან კოლიადო მედიანოში, სადაც ცხოვრობთ (იქვე კარგა ხანია, მისი მეზობელია ელიზბარ უბილავა — ჩემპიონის მუდმივი მწვრთნელი), ადრე რამდენიმე მეზობელი თუ გცნობდათ. ახლა მეტისმეტად პოპულარული გახდით და სიწყნარის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. ხომ არ გენატრებათ ის დრო, როცა თქვენს გარშემო სიწყნარე და სიჩუმე იყო?*

— ჩემმა ესპანელმა მეზობლებმა ადრეც იცოდნენ, რომ მოჭადრაკე ვარ. ადრეც მაჩერებდნენ ქუჩაში, მეკითხებოდნენ ჩემი ტურნირების, შედეგების შესახებ. შესაძლოა, ახლა უფრო პოპულარული ვარ, მაგრამ არა ვფიქრობ, რომ ვინმემ სიწყნარე დამირღვიოს. ეს ხომ პატარა სოფელია, ოთხი თუ ხუთი ათასი მცხოვრებით, ისინი კეთილად მექცევიან და პატივს მცემენ.

● *აქვს თუ არა შიროვს შანსი გახდეს მსოფლიოს პირველი ესპანელი ჩემპიონი?*

— ნამდვილად აქვს.

● *რას იტყვით დროის ახალ, შეკვეცილ კონტროლზე?*

— ეს კონტროლი ძალზე საინტერესოა, მაგრამ ვნახოთ, როგორ მიიღებს მას საჭადრაკო სამყარო.

## პროფესიული კრივის სამყაროში

# „მონსტრი“ როი ჯონსი




ფლორიდის (აშშ) შტატის პატარა ქალაქ ტამპას მცხოვრებნი უნიკალური ორთაბრძოლის, უფრო კი, უნიკალური მოკრივის გამოსვლის მოწმენი გახდნენ. ეს გახლდათ აბსოლუტური ჩემპიონი მსოფლიო პროფესიული კრივის ყველა რანგში, 32 წლის ქვემძიმეწონოსანი როი ჯონსი. სხვა წონის არც ერთ წარმომადგენელს ასეთი ტიტული არ ჰქონია. მის ნოკაუტებზე ლეგენდები დადის — პროფესიულ რინგზე 43 გამარჯვებიდან, 35 ნოკაუტით მოიგო.

თორმეტწლიანი ბრწყინვალე კარიერაში მოკრივემ ერთადერთი დამარცხება განიცადა და ისიც, არც თუ სამართლიანად მიიჩნევენ მას, ვინაიდან აკრძალული დარტყმისათვის დისკვალიფიკაცია მისცეს არაფრითცნობილ თანამემამულე მონტელ გრიფინთან შეხვედრაში, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ სძლია მატჩ-რევანშში.

ახლა მას დაუპირისპირდა 31 წლის დერიკ ხარმონი, რომლის ყველაზე დიდი ჰონორარი ადრინდელ ბრძოლებში 10 ათას დოლარს არ აღემატებოდა. ახლა კი, რინგზე გამოსვლისათვის 350 ათასი ერგებოდა (შვიდწლიან კარიერაში 21 ბრძოლიდან წააგო ერთი, ამასთან, არც ერთი ტიტული არ მოუპოვებია).

როგორც შეხვედრის შედეგმა ცხადჰყო, დ. ხორმანი ამ თანხით უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ვერც ერთი რაუნდი ვერ მოიგო, მე-11 რაუნდის შემდეგ კი, ბრძოლის გაგრძელება საერთოდ ვეღარ შეძლო: სეკუნდანტების განცხადებით მას ყურის აპკი გაუსკდა...

## ჰოლიფილდის აზრით

მაშინ, როცა მსოფლიო ექსჩემპიონ მაიკ ტაისონისა და WBC-სა და IBF-ის ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მფლობელ ბრიტანელ ლენოქს ლიუისის მომავალი ორთაბრძოლის ვნებათაღელვის მონაწილეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ტაისონის დრო წასულია და ეს ბრძოლა ახალ ჩემპიონს დაასახელებსო, სრულიად მოულოდნელად, 38 წლის მსოფლიო ჩემპიონმა WBA-ს ვერსიით, სუპერმძიმეწონოსანმა ევანდერ ჰოლიფილდმა განაცხადა გამარჯვების შანსი აქვს... ტაისონს! ჰოლიფილდის აზრი ანგარიშგასაწევია, ვინაიდან იგი ორ-ორჯერ შეხვედრია რინგზე ორივეს. ჰოლიფილდის თვალსაზრისით თუ ეს შეხვედრა შედგა, რკინის მაიკს შესწევს ძალა პირველსავე წამებში დაამხოს მეტოქე. „იგი ჩხრიალა გველივით სწრაფად უტევს მეტოქეს: ლენოქსი მიჩვეული არაა მას რომ ასე, ელვისებურად ეცნენ“.



ფორმულა-1

## შუმიმ კონტრაქტი დაარღვია

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მიხეილ შუმახერი ბრიუსელის სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო. ფირმა **Bell Helmets**-მა გერმანელი კონტრაქტის დარღვევაში დაადანაშაულა, რომლის მიხედვით ვალდებულია 2001 წლის ბოლომდე მისი ჩაფხუტით რომ გამოდიოდეს. ფირმის ხელმძღვანელობამ მხოლოდ გაზეთების საშუალებით გაიგო, რომ შუმახერმა ცალმხრივი გადაწყვეტილებით შეწყვიტა კონტრაქტი და მოელაპარაკა გერმანულ კომპანია **Schuberth Helme**-ს ამ სეზონშივე გამოვიდეს მისი ეკიპირებით.

გაგონილა?!

## არიქა, ჭიანჭველები!!

უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც ანდრეა სკანავაცი არ გამოუძახიათ იტალიის რაგბისტთა ეროვნულ ნაკრებში. მიზეზი უცნაურია... მას ჭიანჭველების ეშინია. ამის შესახებ ნაკრების მწვრთნელებმა შარშან სამხრეთამერიკულ ტურნეში შეიტყვეს. კოლუმბიის ქალაქ მედელინის სასტუმროს იმ ნომერში, სადაც სკანავაცი ცხოვრობდა, ჭიანჭველები შეიპარნენ. გენახათ, როგორი ყვირილი მორთო სპორტსმენმა! შიშისაგან მთელი ღამე ვერ დაიძინა. მწვრთნელებმა ჩათვალეს, რომ სკანავაცის სუსტი ხასიათი აქვს და იგი დაუყოვნებლივ დაითხოვეს ნაკრებიდან.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 მარტი, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ოვერტაიმი (19.25), *რუსთავი-2.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (20.00), *VII არხი.* სპორტული ინფორმაცია (09.20, 18.25, 22.25), საფეხბურთო მიმოხილვა (19.55), *ESPN.* ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (12.30, 14.30), იტალიის ჩემპიონატი (22.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. უეფას თასი (11.30, 15.30), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „შტურმი“ (13.20), 1/4 ფინალის წილისყრა (15.00, 22.00), მიმოხილვა (16.40). შოტლანდიის (19.30), ევროპის ქვეყნების (21.15), გერმანიის (23.10), იტალიის (01.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (14.40, 00.35). „ბილიარდის მეფეები“ (19.05), ტაილანდური კრივი (20.25, 01.20).

**17 მარტი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* რაგბი. საქართველო — ესპანეთი (14.55), *რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (22.00). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *VII არხი.* რაგბი: „6 ერის ჩემპიონატი“: საფრანგეთი — უელსი (18.30), კალათბურთი. ნბა (23.05), საფეხბურთო მიმოხილვა (23.30), ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (0.00), *TNT.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო კვირეული (16.00), *ESPN.* კალათბურთი. ნბა (10.00, 11.30, 23.00). ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი, პირდაპირი (19.00, 21.00), „რაგბის სამყარო“ (00.00), *EUROSPORT.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 13.00, 16.45 18.15), ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30), *НТВ плюс футбол.* გერმანიის (13.15, 18.25), ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები (15.05), ჰოლანდიის (15.50), იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.25, 01.35). *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ნბა (04.00, 11.40, 23.30), კრივი. „დიდი რინგი“ (21.30).

**18 მარტი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (19.20). *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.35). *VII არხი.* ფეხბურთი: ესპანეთის ჩემპიონატი (20.00), მიმოხილვა „90 წუთი“ (22.30). იტალიის ჩემპიონატი (23.20). *ESPN.* ფეხბურთი. ინგლისის (10.00, 20.00). ჩემპიონთა ლიგის (12.00), იტალიის (22.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *EUROSPORT.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.00, 14.00, 16.45, 18.15, 20.30, 22.15). *НТВ плюс футбол.* იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (15.00, 01.35), რუსეთის (16.55, 18.55), საფრანგეთის (21.25). ჩემპიონთა ლიგის (22.05) ქვეყნების ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კრივი. „დიდი რინგი“ (12.05), ბრძოლა წესების გარეშე (23.30).

## კროსვორდი №21



**თარაზულად:** 1. რეკორდების წიგნი, 4. ფიგურა ჭადრაკში, 7. ალპინისტების არენა, 8. ცნობილი ჩოგბურთელი ვაჟი, 9. სპორტული ნავი, 11. 1962 წლის მუნდიალის მასპინძელი ქალაქი, 13. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი, 15. საჭიდაო ხალიჩა, 16. ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, 17. ქუთაისის რაგბისტთა კლუბი, 18. რუმინეთის საფეხბურთო მწვრთნელი, 21. ცხენოსანთა შეჯიბრება, 24. ტერმინი რაგბიში, 25. აბაშის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. საჭადრაკო პარტიის ნაწილი, 2. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (აბრევიატურა), 3. ფანდი ჭიდაობაში, 5. იტალიის სერია B-ს კლუბი, 6. კორეელი ფეხბურთელი, 10. ვეტერანი ქუთაისელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 12. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 14. რუმინელი ფეხბურთელი, 15 სახელგანთქმული ამერიკელი მძლეოსანი ვაჟი, 16. ... ზეელერი, 17. წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე, 19. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი, 20, სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 21. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 22. არგენტინელი ფეხბურთელი, მეკარე, 23. მოჭადრაკე ლანჩავას სახელი.

**№20 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. „ინტერი“, 6. გურული, 9. ლასკერი, 11. შეკრება, 12. ახტალა, 14. ბრასი, 16. სვანი, 19. რაგბი, 21. „ანაკო“, 22. ფრე, 23. მაკაბიადა, 24. რაი, 27. ტურნე, 29. ქაირი, 30 ნოდია, 31. პინტუ, 33. ალბიონი, 35 დებიუტი, 36. სლალომი, 37. ლიდერი, 38. რგოლი. **შვეულად:** 1. სროლა, 2.ბარკლი, 3. გუნია, 5. ნაკრები, 7. ლატარია, 8. შედეგი, 10. ფალკაო, 13. „არარატი“, 15. „სიტარდი“, 17. „ვერდერი“, 18. რომარიო, 20. დუბლი, 25. ტრიალი, 26. „სინოტი“, 28. „ენფილდი“, 29. ქუნიორი, 32. კალაძე, 34. ისარი, 35. დიეგო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლf6! 1. ...მფ:a6 2. ლ:c6X.
1. ...მფc7 2. ლd8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.